

GEORGIEN

ს. ბეჩუაძე

სანერგები

339

-F/95

ბეჩუაძე 1943

Feldbücherei der Georgischen Legion Nr. 2

---

SIMON BERESCHIANI

Dichtungen

38/d-633

Berlin 1943

---



ქართული ლეგიონის საველე ბიბლიოთეკა № 2

---

სიმონ ზერეხიანი

ნ ა წ ე რ ე ბ ი

ბერლინი 1943

---

ფს/ქ-633

გაზეთ „საქართველოს“ გამომცემლობა  
მთავარი რედაქტორი: ასმეთ. გაი მაღლაკელიძე  
გარეკანი და გაფორმება: ათმეთაურ ი. ევგენიძისა  
ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა, ბერლინი  
PK — Lehrdruckerei

## გამომცემლობისაგან

ამ წიგნის სახით ვაწვდით ქართველ მხედრობას ჩვენი საველე ბიბლიოთეკის მეორე კრებულს. ის შეიცავს სიმონ ბერეჟიანის პოეზიის იმ ნაწილს, რომლის შეგროვება ჩვენ შეეძლო. სამწუხაროდ, რჩება წიგნის გარეშე ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მრავალი ლექსი. მათი თავის დროზე მიღება არ მოხერხდა. ამ კრებულში ვერ შევიტანეთ აგრეთვე ქართველ ლტოლვილთა ცნობრებასთან დაკავშირებული წერილები, პატარა სცენები, ნეკროლოგები და სხვ., რომელიც უფრო ხელსაყრელ და შესაფერ პირობებს უნდა დაელოდოს.

მიუხედავად ამისა, ამ კრებულის გამოცემით ჩვენ მანც ვახერხებთ ორი მიზნის მიღწევას:

გადარჩება დაკარგვას ლტოლვილი მგოსნის მთავარი და მისი ბუნების დამახასიათებელი შემოქმედება. მას, დღემდის ვიწრო ქართული ოჯახის მგოსანს და სამშობლოში აკრძალულ ემიგრანტს გაეცნობიან ტრაგიკულ პირობებში საქართველოს ახლად მოწყვეტილ ახალგაზრდათა ათასეულები, შეიყვარებენ სამშობლოს ტკივილებით გაქლენთილ პოეზიას, შეიყვარებენ ახლად მისვენებულ მგოსანს.

ჩვენ არ გვგონია, რომ დღევანდელ დუხჭირ პირობებში სხვა და უფრო უკეთესი საშუალება არსებობდეს სიმონ ბერეჟიანის ხსოვნის აღსანიშნავად.

დასასრულ, ღრმა მადლობას ვუცხადებთ ბ-ნ მ. ტულუშს, რომელმაც გულმოდგინე და ენერგიული მუშაობა გასწია პოეტის ნაწერების შეგროვებისათვის, და ყველა მათ, ვინც რაიმე სახით წინამდებარე კრებულის გამოცემაში ხელი შეგვიწყო.



## სიმონ ბერეჟიანი

სიმონიკა ბერეჟიანი!

სამშობლოს მოწყვეტილი, უცხოეთში გადმოხვეწილი ქართველობა კარგად იცნობდა მას. ყველას უყვარდა იგი! და ეს სიყვარული წარმოშობილი იყო მისი გულის ნიჭიდან; მთელი მისი არსება შეპყრობილი და მოჯადოებული იყო სამშობლოს სიყვარულით და ამ სიყვარულის სხივებს იგი ჰფენდა ყველას, და ყველაც იმავე გრძნობით უპასუხებდა.

იგი გულით ატარებდა საქართველოს და იყო თავდავიწყებული მიჯნური სამშობლოსი. სამშობლოც არ ასვენებდა მას და უამრავ საუკუნეთა მანძილზე ქართული სისხლით გაჟღენთილი მიწა მიუხმობდა. მას არ შეეძლო მიახლოვება. მტერი ჰფლობდა სამშობლოს. და იგი უცხოეთიდან ელოლიავებოდა მას, უგალობდა.

ზუზუნი და სიხარული, ჭმუნვა და იმედი, გოდება და ღიმილი; თალხი და ბიბინი, ნატვრა და ბრძოლა — ყველაფერი ეს გადაქსოვილია მის შემოქმედებაში და უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით გამთბარი.

ასეთი იქნებოდა გრძნობა და ფიქრი თვითეული ქართველისა, რომელიც გარდასულ დროთა მანძილზე ზოგი სპარსეთში, ავღანისტანში, მონღოლეთში, ზოგი მცირე აზიისა და არაბეთის ქვეყნებში, ზოგი

ბალკანეთში და რუსეთში, დაბოლოს — ევროპაში, სამშობლოს უბედობით გადაკარგული იყო.

აქ იწყებოდა ზორვა: ღვთის მიმართ შეწირვა, კმევა და მსხვერპლი. ხოლო ეს ღმერთი ქართველისა — სამშობლო იყო.

თავხსნიერი ანუ მართალი შვილი ამ ზორვით თავის უღიადეს მოვალეობას ასრულებდა საკუთარი სამშობლოს წინაშე, ვინაიდან ამ მზორავს სიმართლე ავალდებულებდა. და ეს სიმართლე იყო მისი სამშობლო, მტრისაგან იავარქმნილი და გაპარტახებული. დაცვა საქართველოს თავისუფლებისა, ახსნა მტრის მიერ დადებულ ბორკილებისა იყო ხსნა ერისა, დაცვა სიმართლისა და სამართლიანობისა. ამ სიმართლესა და სამართლიანობას ეძებდა სიმონიკაც.

ამიტომაც, რომ სიმონიკას დროსა და სივრცის გაბრეშე ვხედავთ, თუმცა იგი ჩვენი თანამედროვე იყო.

სიმონიკა თანმოსდევს ქართველ ერს დასაბამიდანვე, იგი მისი ღვიძლი შვილია, მისი მართალი შვილია და მისთვის ფხიზელი მეომარი.

და ამხანადაც, ოდეს ომის ყიჟინა გაისმა, იგი გმირულად გაეშურა ბრძოლის ველისაკენ, მაგრამ, სავალალოდ, აღარ დასცალდა თავისი თავი ზვარაკად მიეტანა სამშობლოს საკურთხეველზე. მხოლოდ მისი სული შეეწირა მას.

საქართველო ცხოვრობდა და ცოცხლობს გმირებით. გმირულმა სულმა, რაინდულმა გულმა იგი ატარა გზავიწრო, კლდოვან ასპარეზზე და ჩვენმა ერმაც ამ ძნიად სვლაში გამოსჭედა თავისი მე სწორეთ აღურიცხველი ბრძოლებით. ამ სულით აზვირთებული და ამ გულით მძგერი იყო ჩვენი სიმონიკაც, რომე-

ლიც მუხანათ წუთისოფელს უდროოდ გამოესალმა,  
ვერცკი მოასწრო თავისი სიტყვები გაენაღდებინა.

„თუ გამარჯვება არ არსებობს სისხლის გარეშე,  
მხოლოდ სისხლისთვის გიხმობს ჩემი ბუკი-ნაღარა;  
ისე არ ჩავალ, ცით მოსული, ბნელ სამარეში,  
თუ არ შევლებე მტრების სისხლით ჩემი ჭაღარა!..“

ეს მისი ანდერჟია.

ამ ანდერჟის პატივდება და შესრულება ისტორიამ  
მიანიჭა დღეს მებრძოლ-ქართველობას.

**3. ნოზაძე.**

**ივლისი 1948 წ.**

# სიმონ ბერეჟიანი და მისი შემოქმედება\*)

ჩვენი მგოსანი ლტოლვილთა შორის სიმონიკას სახელით იყო ცნობილი. ეს მოფერებითი სახელი, სიმბოლო ჩვენი მისდამი სიყვარულისა, მისი საკუთრება გახდა. ჩვენ, მშობელ კერას მოწყვეტილთ, ის ახლობელ ადამიანად მიგვაჩნდა, ის იყო ჩვენი გულისტკივილების მემატთანე, დღიურის დამწერი, ჩვენი იმედის, სევდის და გლოვის ხან რითმებში და ხან ლამაზ პროზაში ჩამსმელი.

მკითხველს ვაწვდით ამ წიგნაკის ავტორის მხოლოდ მოკლე ბიოგრაფიას, მისი ცხოვრების მთავარ ნაწილს, რომლის ცოდნა საჭიროა თვით მისი შემოქმედების გასაგებად. ს. ბერეჟიანი დაიბადა 1897 წელს, პირველდაწყებითი და საშუალო განათლება

---

\*) ეს მცირე გამოკვლევა წარმოადგენს შემოკლებულ შინაარსს იმ მოხსენებისა, რომელიც წაკითხულ იქნა ბერლინის ქართველობის მიერ სიმონ ბერეჟიანის ხსოვნის აღსანიშნავად მოწყობილ საგანგებო კრებაზე, ამა წლის 16 იანვარს.

წიგნი უფრო მდიდარი იქნებოდა, რომ პარიზიდან გამოგზავნილი ზოგიერთი ჯერ დაუბეჭდავი და საბიოგრაფიო მასალა გზაში არ დაკარგულიყო.

სიმონიკას უბედობას ისიც მიემატა, რომ დღემდე, მიუხედავად დიდი ცდისა, მისი საფლავი ვერ აღმოვაჩინეთ.

დაე, ეს პატარა ტომი იყოს, ჯერ-ჯერობით მაინც, ნიშანი სიმონიკასადმი მისი მეგობრების სიყვარულის და პატივისცემისა.

მ. ტ.

საქართველოში მიიღო. მას წილად ხვდა ბედნიერება მასწავლებლად ჰყოლოდა ჩვენი საუკეთესო მამულიშვილნი და კარგი პედაგოგნი (იხილე: „მოგონებანი ვაჟაზე“), რომელნიც, მიუხედავად რუს შავრაზმელთა კონტროლისა, ახერხებდნენ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის საღი ეროვნული აღზრდა მიეცათ: ქართული ენა, ისტორია, ლიტერატურა, გეოგრაფია შეესწავლებიათ.

ქართული ქალაქი, სოფელი, ბუნება, ოხუნჯობა, ბურთაობა, ნადირობა, ტირილი, ლხენა, ცეკვა და სიმღერა იყო ბავშობისა და მოზრდილობის დროს მგონის პირდაპირი ათვისების საგანი. სიმონიკამ შეისისხლ-ხორცა ქართული ხასიათი, სავსებით შეიგნო ჩვენი ჩვეულებების სიორმე და გარეგნული გამოხატულებანი, შეისწავლა ერის ნამყო და აწყო და გახდა ნამდვილი ქართველი.

შოთას, ჩახრუხადის, დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ილიას, აკაკის და, განსაკუთრებით, ვაჟას — „უსაყვარლესი მგონის“, როგორც თვითონ ამბობდა, მადლიანი შემოქმედება იყო წყარო მისი სულიერი ცხოვრებისა;

„ქართლის ცხოვრება“ — წყარო მისი ქართული შეუდრეკელობისა, წინაპართა რაინდობის თაყვანისცემისა;

ჩვენი ბუნება, მისი წარმტაცობა, წყარო მისი სი-  
ცოცხლისა და მუდმივად სახლ-კარისაკენ ლტოლვი-  
სა.

სიმონიკამ ჯერ კიდევ თბილისში სცადა კალამი თავის მუდმივ იარაღად გაეხადა; მისი ლექსები, ოცდახუთი წლის წინათ გამოქვეყნებული, მისი მგონსური მომავლის უტყუარი საბუთია (სამწუხა-

როდ ეს მასალა ჩვენ აქ ვერ ვიშოვნეთ). საერთოდ, სიმონიკა მთელი არსებით ხელოვანი იყო; ქანდაკება, მხატვრობა, თეატრი, პოეზია მის არსებაში ერთმანეთს ხვდებოდნენ; მან ულამაზესი ხელოვნების ყველა დარგს ერთი ნაწილი თავისი ნიჭისა და დროისა მიუძღვნა, მაგრამ, პირობათა უკუღმართობის გამო, ვერც ერთი მათგანის ხელობა (ხელობაც არის ნიჭთან ერთად აუცილებელი) საკმაოდ ვერ შეითვისა და, ჩემის აზრით, ამ მოვლენით აიხსნება ის გარემოება, რომ სიმონიკას ნიჭმა ვერ მოასწრო სავსებით მისთვის შესაძლებელ მოცულობით გაშლა.

სიმონიკას ბედნიერება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ყველა იმ ბრძოლაში, რომელიც ქართულმა ახალგაზრდა ჯარმა გასწია ჩვენი ახლად შექმნილი სახელმწიფოს დასაცავად 1918-1920 წლებში.

დამოუკიდებელი სამშობლოდან ის ევროპაში გამოემგზავრა უმაღლესი განათლების მისაღებად. 1921 წელს წითელმა რუსეთმა დაანგრია ჩვენი ქვეყანა; სამშობლოს კარი დაეკეტა ყვილას, ვინც აქ ცოდნის მისაღებად იყო ჩამოსული და ვინც უკან დაბრუნების შემდეგ ქართველი ხალხის ღირსეულ მსახურად განდომაზე ოცნებობდა. სიმონიკა ჯერ კიდევ „ნორჩი“ ლტოლვილი, სავსებით დარწმუნდა, რომ უცხოეთი „დინჯი მამინაცვალი გაშხმარ თითებში ძვირფას სიგარით“ მისთვის მიუღებელი იყო (იხ. „სამშობლო უცხოეთში“, 1923 წ. ბერლინი). სამი წელი, ტანჯული, ულუკმა-პურო დაჰყო მან გერმანიაში და ამის შემდეგ გადასახლდა საფრანგეთში, სადაც ცხოვრობდა 1941 წლის ზაფხულამდე. გამუდმებული და მძიმე ბრძოლა ფიზიკური არსებობისათვის, ნაცვლად მეცნიერების ტაძრისა და ბიბლიოთეკისა,

გახდა მისი წილი. ეს ბრძოლა განსაკუთრებით მძიმე იყო მუდმივ მეოცნებე და ღრუბლებში მონავარდე სიმონიკასთვის.

მიუხედავად დუხჭირი პირობებისა, ის განაგრძობდა ხელოვნების სამსახურს, სწერდა ლექსებს, მოთხრობებს, მოგონებებს, პატარა სცენებს, საოხუნჯო წერილებს ემიგრაციის ცხოვრებიდან, ხატავდა კარიკატურებს და იღებდა აქტიურ მონაწილეობას პატრიოტულ დარაზმულობებში; ის, თავისი მოქცევით, სიმღერით, მონდენილად ლექსების წაკითხვით ქართველ ლტოლვილებს ამხნევებდა,—ის ჩვენი ემიგრანტული ოჯახის თვალად ითვლებოდა.

სევდის შემოტევის წუთებს სიმონიკა თავის თავს უნახავდა, ამაში სხვებს არ ირევდა, თავისივე ცრემლებით რწყავდა მოწოლილ ბოღმას; ასეთ მომენტებშია დაწერილი მრავალი ლამაზი, სევდით გაყენთილი ფურცელი, რომლის მხოლოდ ერთ ნაწილს ვაწვდით დღეს ივერიის მიწისაგან მტრის მიერ ახლად მოწყვეტილ ახალგაზრდობას.

დადგა დიდი ხანა, უცბად, მოულოდნელად. დიდი გერმანია, რომელიც ევროპისათვის ახალი ხანის შექმნის ღოზუნგით მოევლინა მსოფლიოს, უზარმაზარ ველურობის ბუდე-რუსეთს დაეტაკა მთელი თავისი სამხედრო პოტენციალით. დაიღწევა რუსეთი, დაინგრევა ჯალათური დიქტატურით შეკოწიწებული საბჭოთა „კავშირი“, ამოვა მზე დაჩაგრულ, დამონებულ ერთათვის და კვლავ სხვებთან ერთად მკვდრეთით აღსდგება ტურფა ივერი... ვფიქრობდით ჩვენ. ჩვენი მგოსანი, დღემდის კალმით მებრძოლი, გამოეშურა აღმოსავლეთისაკენ, უნდოდა სამშობლოსთვის იარაღით ხელში ებრძოლა, სისხ-

ლი დაედვარა. ბედნიერება თითქოს კარს აკაკუნებდა, სიზმრის საგანი რეალობის სფეროში შეცურვას იწყებდა; ის, ჩქარა, სულ მალე დაუბრუნდება სამშობლოს და მას ეტყვის: „ვიხილე შენი ქალარა მთები, ვიხილე შენი ლურჯი ვიოები...“

და — „ბედნიერი ვარ, რომ ჩემს მიჯნურსა არ გასცვეთია თამარის ქოში“

(იხილე ლექსი „მშვიდობით“)

მის წინაშე გაიშლება ხელ-ახლა სამშობლო, „ვისც ნახვა ვგრე“ სწყუროდა და რომელსაც: „მთვარე ქათიბსა უკერავს, მზე ოქრომკერდით უვლისა“.

და რომელიც: „ხან თეთრ ვაბასა ჩაიცვამს, ხან შავსა — ქირისუფლისა. სულ მუდამ კონტა კი არის, კვნესა მე იმის სულისა“.

(იხ. პოემა „მამა-დავით“).

მგოსანმა იქნება მტრის ჯალათების მიერ დახოცილ, მიწისათვის უცნობ ადგილას მიგდებულ ძმათა საფლავებიც ნახოს, მათ წინაშე მოვალეობა მოიხადოს, ორიოდე ცრემლი მაინც დააპკუროს, რადგან წინათ, შორს, მშვენიერ საფრანგეთში, მას მხოლოდ მოგონება თუ შეეძლო:

...„მე ვიგონებდი იმათ საფლავებს, რომელთაც მიწა ვერ მივაყარე.“

შეიძლება კერა-დანგრეულმა და გლოვით დატვირთულმა ქართველმა გლეხმაც, ისე, როგორც თემურ ლინგისა და შაჰ-აბასის მხეცობას ვადარჩენილმა წინაპრებმა, სულ მალე ნანგრევებში ცეცხლი დაანთოს, ბუხრიდან თეთრი კვამლი კვლავ აცურდეს ცისაკენ, აბიბინდეს ყანა, იქნება მადლიან და გა-

შლილ მკერდიდან ამოჭრილმა სეაღიანმა „ჰარალემ“  
და მკვირცხლმა „კრიმანჭულმა“ სმენა მოიცვას? მა-  
შინ ხომ რეალური, დროული იქნება ის, რაც ოდეს-  
ღაც შორს, ძალიან შორს მგოსანს უგრძენია და ქა-  
ლალდზე გადაუტანია:

...ვიგრძენი შვება, განათლდა გული.

ესთქვი: კვლავ იმეფებს ჩემი ქვეყანა,  
თუ გლოვის ნაცვლად მესმის ურმული,  
და გმირთა ძვლებზე ბიბინებს ყანა...

ან და:

...იმღერე, გლეხო! ჩვენ გადაგვარჩენს  
შენი „ჰარალე“ და „კრიმანჭული“.

(იხილე ლექსი „ურმული“)

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სიმონიკას  
არსებას 1941 წელს ასეთი წარმტაცი იმედები დაე-  
პატრონა: სამშობლოს კარები მას უკვე გახსნილი  
მოეჩვენა, ფრთებშესხმული იქით, შავი ზღვის ნაპი-  
რებისაკენ გაექანა, რომ ხელ-ახლა ეთქვა სათაყვანე-  
ბელ ქვეყნისათვის:

„...მომეცი ნება,

შენს მთებს, შენს ქალებს

მივესალმო მე ძველებურად;

.. .ზახმაროს ნისლში

გავხვიო ტკბილი ოცნება.“

(იხილე ლექსი „გურიას“)

უბედობამ დაასამარა მგოსნის აღტაცება: ავად-  
მყოფობამ დასძლია მისი სუსტი სხეული და ისე დას-  
ტოვა ეს ქვეყანა, რომ ვერ მოესწრო ტურფა ივერი-  
იდან რუსის ხიშტების გაქრობას.

უკანასკნელ წუთების განმავლობაში სიმონიკას-  
თან არ იყო არც ერთი ქართველი, ვერ გავაგონეთ

ქართული სიტყვა, ვერ შევბირდით მისთვის საუკუ-  
ნო ბინის სამშობლოში დამკვიდრებას. იქნებ სევდი-  
ან მგოსანს საფლავში მაინც ჩაჰყოლოდა რწმენა,  
რომ ოდესმე შესრულდება მისი თხოვნა:

„...მომინახულეთ. სთქვით სიმღერა  
ტკბილი, საამო:  
ჩვენი „ნადური“, „ოთხი ნანა“,  
„ხასანბეგურა“.

იქნება კიდევ სწამდა, რომ ოდესმე საფ-  
ლავიდან თავის სოფლელებს სთხოვდა:

„თუ სიცოცხლეში არ მეღირსა  
უცხო მხარიდან,  
რომ მეთქვა შენთვის სიტყვა მკვირცხლი,  
სიტყვა მახვილი,  
ნულა დამიმღიოთ, გურულებო,  
მუნჯ სამარიდან -  
მეც გაგაგონოთ ჩუმი ბანი,  
ან მოძახილი“.

(იხილე ლექსი „გურიას“).

ვერც მეორე ანდერძი ავუსრულეთ მგოსანს:

„როცა მოვკვდები, ჩამაცვი ჩოხა,  
წამიკარ თავი თეთრ ყაბალახით:  
ჩემს სამარეზე გაშალე ნოხად  
მინდვრის ყვავილნი მწვანე ბალახით“.

აქ უეჭველად მშობლიური მიწის ბალახი და ყვა-  
ვილები ჰქონდა მას მხედველობაში. მაგრამ, ჩვენდა  
სავალალოდ, უაღრეს სასოწარკვეთილების მომენტ-  
ში გამოთქმული სურვილი:

„...ნუ დამაპკურებ ცხელსა ცრემლებსა...“  
„ბნელსა ორმოში დამტოვეთ მარტო...“

(იხილე ლექსი „უკვდავება“)

სავსებით შეუსრულდა: ქართულ ცრემლს არ დაუსველებია მისი გაცივებული სხეული, ქართულ ხელს ჯერ-ჯერობით არ გაუშლია მის საფლავზე ნოხად „მინდვრის ყვავილნი მწვანე ბალახით“.

და მიემატა ჩვენი დედის ძუძუთი დაპურებულ „ჩვენი დედის ნანათი აღზრდილ, ჩვენი დედის ენით ამეტყველებულ ახალგაზრდათა ათეულ-ათასეულების მიმკუთვნიებელ ჩრდილოელ მიწას თავდადებული მამულიშვილი და მგოსანი.

სიმონ ბერეჟიანის **შემოქმედება**, ყოველ შემთხვევაში ის, რასაც მე გავეცანი, არის მხოლოდ და მხოლოდ ერის **პოლიტიკური უბედობის მძაფრი ანარქალი**. არც უდიდეს მოაზროვნეთა გამთეთრებელი ფილოსოფიურ - სარწმუნოებრივი პრობლემები, არც აზიკობა და ლამაზ, ეშხით დამათრობელ არსებათა აპოლოგია, არც პიროვნულ ნიადაგზე გაზრდილი შეება ან ტანჯვა არ სჩანს მის ლექსებში და მოთხრობაში (ჩვენ მხედველობაში გვაქვს „ნიკოლა“, საყურადღებო რომანი სიმონიკას ნიჭის, როგორც პროზაიკოსის გამომჟღავნებელი, სამწუხაროდ დაუსრულებელი; მხოლოდ ორ ნაწყვეტს ვათავსებთ ამ კრებულში). უეჭველად ს.ბერეჟიანი ბუნებით ხელოვანია, მისი შემოქმედება მრავალფეროვანიც იქნებოდა, მაგრამ მშობელი ერის ცხოვრებაში გარემოებათა განვითარებამ სხვა მოვლენები და სწრაფვანი დაჩრდილა, პერიფერიაში გადასტყორცნა; **უფალი სამშობლო** დაბრძანდა სრული ბრწყინვალეობით ხელოვანის მთელ არსებაში და იქიდან გვასმენს უსაზღვრო ტანჯვის სიმფონიას, რომელიც ძალიან იშვიათად თუ დაუშვებს, დისონანსის მსგავს იმედის კრიმანქულს.

მგოსნის გული დაწყულულებულია, მაგრამ აქაც  
ის ერთგვარ ნეტარებას ხედავს:

„ოჰ, ხშირად მიმიძის  
დაწყულულებულ გულის ტარება!  
მაგრამ ჯვართცმაში  
არის ოხვრაც და ნეტარება“.

რადგან მისი გულის დაწყულულების მიზეზი სამ-  
შობლო და სამშობლოს მიჯნურობაა, რომლის თავ-  
დადებული სამსახური ხომ ჩვენი მგოსნის უწმინდესი  
იდეალა, მასზე ლოცვა, მისი გაღმერთება, მისი შე-  
მოქმედების ლეიტმოტივია.

მოუსმინეთ როგორ წარმოუდგენია ხელოვანს ჩვე-  
ნი ქვეყანა, როგორ ხატავს ჩვენს ბუნებას მისი გმი-  
რი, ქართველი გლეხი პავლე:

„ხიდთან მოვიდენ. განიერი მდინარე უხმოდ, მძი-  
მედ მიიზღაზნება მთვარის შუქზე...“ პავლე შედა-  
რებას ახდენს: „ჩვენი ქვეყნის მდინარე უფრო მხია-  
რულია. ეგრე როდი დამუნჯდება... ჰაი, რა შორს  
არი ზეცა! მთვარეც რა ჭირვეულათ ანათებს... ვარს-  
კვლავები სადღა გაჰქრა?! მაიცა!.. იჰ, მეხი კი დაგა-  
ყარეთ! დახე, დახე, როგორ ბუუტამენ. ჩვენი მიწა-  
წყალი სულ სხვაა, შვილო. აი, ტა, ტა, ტა, სად ვი-  
ლუბებით! ჩვენი მიწა ზეცასთან ახლო სცხოვრობს,  
ყველაფერს ზევიდან დასცქერი: მთიდან მთასა, ვე-  
ლიდან-ველსა, ბილიკიდან-ბილიკსა. მთვარეც პი-  
ტარძალივით თავზე დაგქათქათებს, ვარსკვლავები  
ახალციხის მწიფე ვაშლებივით სხედან ცაზე. ეგრე  
გგონია, ხელით მისწიდები, დაჰკრეფ და უბეში ჩაი-  
ლაგებ“.

(იხილე ჟურნალი „ქართლოსი“, №1, 1937 წ.).

აქ ავტორმა მოგვცა ლამაზ და ორიგინალურ შედა-

ს  
ს



რებებში მოხაზული სურათი ქეშმარიტად სანეტარო ქვეყნისა, სადაც მოთესილია ნანგრევებად ქცეული ან ჯერ კიდევ ამაყად მდგომი უთვალავი ძეგლი, საბუთი ჩვენს წინაპართა დიდი კულტურისა, შრომისა და შემოქმედებითი ნიჭისა.

ყოველგან დაღვრილია სისხლის მორევი თავისუფლების ხან შესანარჩუნებლად, ხან კიდევ აღსადგენად, ჯვარი ვაზისა-ს დასაცავად, ღვთისმშობლის წილად ხვდომილ ქვეყნის გადასარჩენად... მაგრამ მაინც ბოროტმა და უხეშმა ძალამ გაიმარჯვა: თავისუფლება, ეროვნული ხატი, თავმოყვარეობა ფეხქვეშ გათელილია. მგოსანი, შინ შემოჭრილ ყაჩაღთა გამკლავების არშემქლე, გულს მაინც იმაგრებს,— სიკვდილის შემდეგაც არ სურს გატეხილი ადამიანის ელფერმა მოიცვას:

„გამაგრდი გულ .ი! რამ დაგაღონა?  
შევსვათ პეშვებით შუქთა კრებული,  
რომ სამარეშიც განგების მონა  
არ ჩავესვენო ვაფითრებული“.

(იხილე ლექსი „მარადისობა“)

არც ეს არის ბედის წყევლა, როდესაც მგოსანი თავისი სევდის მიზეზს ამჟღავნებს:

„მაგრამ იმ მიწამ, მშვენიერმა, მე რომ აღმზარდა,  
მითხარ რა მოგცა, ჩემო გულო, ცრემლების გარდა?  
ან და:

„და ერის სევდა, ერის ცრემლი, ვით ცხელი ტყვია  
მე დამაქვს გულით და კრილობა მძიმე მატყვია“.

(იხილე ლექსი „გული“)

ღიად, მიჯნურობა, განსაკუთრებით ტანჯული ქვეყნისა, ბოღმის წყაროა; მძიმე კრილობის ტარება, ამ შემთხვევაში, საამაყო და აუცილებელი მოვლე-

ნაა, მით უმეტეს, რომ მგოსანს თავისი მოვალეობა და სურვილი ღრმად აქვს შეგნებული:

„ვარ ჩემი ქვეყნის გულ-დამწვარი ჭირისუფალი, ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო“.

(იხილე ლექსი „მგოსანი“)

საუბედუროდ საქართველოს ცაზე იმედის ვარსკვლავი არც თვითონ გამოჩნდა და ვერც ჩვენ შევძელით ჩვენი ქვეყნის ეკლიანი გზიდან მოცილება. ხანა იყო წყეული: კაცნი სამართლიანობას გაურბოდნენ, უფლებას ფეხით სთელავდნენ, პირუტყველი ეგოიზმით მთვრალნი კეთილშობილურ საქმეს ვერ აკეთებდნენ. და მსოფლიო ხომ კაცთა კრებულია. ძალა, ფული, მატყუარობა დაეუფლა დედამიწას. სად, ვისთან უნდა ეძებნა სამართლიანობას დამცველი? ჰო, მართლა, აქა-იქ, მეტეორივით გამოჩნდებოდა ორიოდე ჭეშმარიტი ადამიანი, მაგრამ მათი სიტყვა უდაბნოში ლაღადათ რჩებოდა. და ჩვენს ნაზ პოეტში ილგვიძებს, მისთვის არაბუნებრივი, დაუნდობლობის და შურისძიების გრძნობა:

მე დავიბადე ცხელ ლითონის და ცეცხლის დროში;  
ტყვიის ზუზუნმა დამავიწყა დედის ნანიანა...

თუ გამარჯვება არ არსებობს სისხლის გარეშე,  
მხოლოდ სისხლისთვის გიხმობსთ ჩემი ბუკი-ნაღარა!

და კიდევ უფრო შორს მიდის სამშობლოს ტანჯვის გამოძახილი:

თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი  
დე, მტვრად ქცეულიც დამენახოს მთელი სამყარო!“

(იხილე ლექსი „მგოსანი“)

ასეთია უსამართლობის მსხვერპლის შვილის თავგანწირვა... „დაე, მტვრად იქცეს მთელი სამყარო!“  
მერე ჩვენ განა ამით გვეშველება? მაგრამ მისი ნერ-

ვებიც დაღალა კაცთა გულცივობამ, მისი გული აკუნესა მოძალადე მტერმა და რა უყოთ, თუ ასეთ წინადადებაში გახვია მგოსანმა თავისი უსაზღვრო გულისწყრომა?!

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ სიმონიკას პოეზიის ტემპერატურა საქართველოს გულისცემის თანმიმდევარია. მას გაგიჟებით უყვარს ტურფა სამშობლო. მაგრამ ეს გრძნობაც არ არის ეგოისტური ნაციონალიზმი. მგოსანი აღმერთებს თავის ქვეყანას არა მარტო როგორც ქართველთა მშობელს, ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს იმიტომ, რომ საქართველოს საკითხი ყოველი კეთილშობილი ადამიანისათვის სამართლიანობის საკითხია; მთელი ის გიგანტური ბრძოლა, რომელიც ჩვენმა ერმა საუკუნეების განმავლობაში გასწია, არსებითად და სწორად გაქვრეტილი, არის სამართლიანობის სამსხვერპლოზე მიტახილი დიდი წვლილი.

ყოველ ერს აქვს თვითარსებობის უფლება და ამასთანავე ხშირად თვალთუხილავი მოვალეობა, საერთო მნიშვნელობის ფუნქცია. ყოველი ერი ძვირფასი მარგალიტია, სხვებთან ერთად ჩვენი დედა-მიწის დამამშვენებელი. ერის მოსპობა, ქვეყნის გაღარიბებას ნიშნავს, ერის დამონება—ქვეყნის ორგანიზმის ერთი ნაწილის თან და თან ატროფიას, გაქრობას. ჩვენი ერი, საკაცობრიო ძვირფასი დოვლათის შექმნის ღირსეული მონაწილე, იბრძოდა ამ გაქრობის საფრთხის წინააღმდეგ, იბრძოდა თვითარსებობისათვის. გადიკითხეთ 1918 წლის 26 მაისს ჩვენი დამოუკიდებლობის დეკლარაცია: „საუკუნეების განმავლობაში საქართველოსათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო თვითარსებობისათვის ბრძოლა. საქართველო

იბრძოდა თავისი სულიერი სახის, ეროვნული სხეულის და ტერიტორიის შესანარჩუნებლად, მაგრამ ამ ბრძოლის საგანი იყო ყოველთვის თვითარსებობის გადარჩენა და არა სხვისი არსებობის საფრთხეში ჩაყენება“.

აქედან: 1. საქართველოს უფლებებისათვის მებრძოლი ქართველი არის უწმინდესი იდეალის ჯარისკაცი.

2. ქართული ნაციონალიზმი სწორედ გაგებულ და სწორედ მიმართული არის კეთილშობილი მოვლენა, ნაციონალური ეგოიზმის ანტითეზა, მოპირდაპირე, სხვისი არსებობის ხელშეუხლებლობა და პატივისცემა.

დიად, სპეტაკია ჩვენი წარსული, დიდია ჩვენი ეროვნული მორალი, კეთილშობილია ჩვენი საუკუნეების მანძილზე გაწეული ბრძოლა.

სამართლიანობა, მსოფლიოს ხსნის და ჭირთაგან განკურნების ერთადერთი წამალი, არის ჩვენი უფლების საფუძველი.

**უფლება ჩვენს მხარეზე იყო, ძალა და ველურობა — რუსის მხარეზე.** და ჩვენს მგოსანს სული ეხუთებოდა, რომ

სამშობლო სამართლიანობის სიმბოლოა,  
სამშობლო უსამართლობის მსხვერპლია,  
სამშობლო ხიშტის უფლების მქონის ფეხით  
გათელილია, და არ აღმოჩნდა ამ ქვეყნად  
ძალა, რომ მას მიეშველოს.

მაგრამ სიმონ ბერეჟიანი ხომ ქართველი იყო და ჩვენ ხომ იმედი, ბრძოლის უნარი წინაპრებმა გვიანდერძეს. შოთას სიტყვებიც წმინდა ლოზუნგებად გულის ფიცარზე გვაწერია: ხან ტარიელისებური

პირდაპირობით, ხან ავთანდილისებური მოხერხებით მტერს ჩვენში მშვიდად ბატონობის საშუალებას არ ვაძლევდით; ჩვენზე ბატონობა არასოდეს და არავისათვის განცხრომა არ ყოფილა.

და უკანასკნელად საქართველოს დამანგრეველ რუსეთსაც შევებრძოლეთ. უფალმა უწყის, რამდენი დიდი გმირი გამოაჩნდა ტანჯულ ქართველ ერს, რამდენი გმირის სახელიც კი არ დაგვრჩება, რამდენი თავდადებული წარმოშვა ეროვნული თავისუფლების იდეამ. და როდესაც ამ გმირებზე, „რომელთაც მიწა ვერ“ მივაყარეთ, ფიქრობს სიმონიკა, მის გულში იმედის სხივები შეიჭრებიან. მოვუსმინოთ თვითონ მგოსანს, რომელიც თვით პოლიტიკურ სიტყვებშიაც პოეტური დასაბუთებით გამოდიოდა: „განმეორდა ქართული ისტორიის ძველი ამბავი. შემოიჭრა მტერი ცეცხლით და მახვილით. ჩვენც მახვილით დავუხვდით. დავმარცხდით... ავჯანყდით. ისევ დავმარცხდით. დიდი მსხვერპლი გავიღეთ“... მაგრამ 1921 და 1924 წლების ტრაგედიაში ერთი ფრიად აღსანიშნავი მოვლენა იქცევა მგოსნის ყურადღებას:

„ეროვნულ სამსხვერპლოს წინაშე ერთად წარსდგნენ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი კოტე აბხაზი და ნ. ხომერიკი, ვარდენ წულუკიძე და ბ. ჩხიკვიშვილი, დიდი ლოზუნგით: საქართველო უწინარეს ყოვლისა“ (იხ. გაზ. „თ. ბ. „ჭირსა შინა გამაგრება“ №98) ეს პიროვნებები, სამშობლოსათვის თავდადებულნი (და სხვები, ძალიან ბევრნი) ეკუთვნოდნენ სხვა და სხვა წოდებას, მსოფლმხედველობას, პარტიებს, მაგრამ მათთვის მხოლოდ სამშობლო იყო უწინარეს ყოვლისა. ეს იყო ჩვენი ძალა: მტრის წინაშე, სამშო-

ლოსათვის ბრძოლაში მთლიანი, შედუღებული ვიყავით.

ჩვენი ეროვნული გმირი, ტყვედ გაქრილი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი იმიტომ ახდენდა სასწაულებს, რომ მას მთელი ხალხი უმაგრებდა ზურგს. მგოსანი ადიდებს მას, წინაპართა ვაჟკაცობის და რაინდობის გამგრძელებელს. ჩვენი ქაქუცა უცხოეთში მოგვიკვდა, მაგრამ მგოსანს არ სურს ეს დაიჯეროს:

„არ დაიჯეროთ, რომ დაქრილი ვაჟას არწივი გამოესალმა მთის მწვერვალებს დღეს სამუდამოდ.

მე ამას ვამბობ. და ეს მჯერა. ვამბობ იცით რას? დაქრილმა მკერდში, დაქანცულმა ბოლოს ინება ნაბადის გაშლა რბილ მწვანეზე დიდ მუხის ძირას და . . . მიძინება.

(იხილეთ ლექსი „შეფიცულებს“)

და საქართველოს „ყოვეს“ ტყუილი იმედი აქვთ; საქართველოს მაგარი ხერხემალი აქვს; და მალე, თუ მკვდრეთით აღდგომა არ არსებობს, სხვა ქაქუცა მაინც დასცემს ზარს მტერთა ბანაკს.

იმედი თან ახლავს სევდიან სიმონიკას სევდიან პოეზიას:

„შორსა ვართ, შორსა! და გვესიზმრება  
ღვთისმშობლის კუთხე, ჩვენი ედემი.  
მაგრამ გვინათებს გზებს იმედები.“  
ჩაგვატყდა გულში სევდა ისრებად,  
„ბედმა გვიმუხთლა: გვესროლა ბადე,  
მაგრამ ცრემლები არვის გვატყვია.“

(ლექსი: „პასუხად ორდენოსან მგოსანს“, იხილეთ გაზ. „თეთრი გიორგი“. №90, 1935 წ.). რადგან მგოსანმა იცის, რომ იქ არის

„ისევ ის მთები! ისევ ის ზეცა...“

... „ორ ნაწნავებად“ გადმოკეცილი  
ფარჩის კაბაზე მტკვარი-რიონი“;

სქელი ყანა, ღობე, ჭიშკარი, ხალხი, იქ — სამშობ-  
ლოში არსებობს... თუმცა „გატეხილ ხულას დასჩხა-  
ვის ყვავი, დამპალ სვეტებზე ქანაობს ოდა...“, (იხ.  
ლექსი „ნასახლარი“), მაგრამ ოჯახი მაინც სულ მო-  
სობილი არ არის... ნასახლარზე სახლი აშენდება,  
ხელ - ახლა ცხოვრება გაჩაღდება. და თუ  
თავისუფალ საქართველოში მტერს შხამიანი  
თესლი დაუტოვებია, უღელახსნილი ხალხი იმასაც  
მოსპობს, სადაც და რა ფორმის არ უნდა იყოს ის:

„და თუ ჩვენს ბალახს, ჩვენს ყვარელის ვაზს  
უდგია სკვითელ ლენინის სული,  
ბალახს ამოსთხრის, ვაზებს გადასწვავს,  
რომ მოსპოს სენი ვენერიული“.

(„პასუხად ორდენოსან მგოსანს“)

ერი ხელ-ახლა გაჯანსაღდება, ბედნიერ ხანას მო-  
ესწრება.

სევდა, მაგრამ არა უიმედობა, ერის ტკივილით  
დამწუხრება, მაგრამ არა სასოწარკვეთილება, და-  
მარცხება, მაგრამ არა გულგატეხილობა, სამშობლოს  
უსაზღვრო სიყვარული და მით გამოწვეული ტან-  
ჯვის განცხრომად ჩათვლა; ბრძოლის სურვილის  
თავგანწირვის წმინდა მოვალეობად აღიარება და  
ამ რწმენის განხორციელება, ეროვნული მთლიანო-  
ბის იდეის მნიშვნელობის შეგნება და მისი სინამდვი-  
ლედ ქცევა. . .

ასეთია სიმონ ბერეჟიანის პოეზიის მოტივები; ამ აზ-  
რებს უმღეროდა მისი ფანდური.

და ჩვენც, ქართველებო, შევიგნოთ ამ აზრთა სი-  
ლიადე და ჭეშმარიტება და, სანამ ცოცხალნი ვართ,  
ჩვენი მთელი ჭკუით და ღონით, მთელი არსებით მათ  
განხორციელებას ვემსახუროთ. მხოლოდ ამ გზით  
გამოვადგებით მარადიულ საქართველოს...

და ვისაც ბედი გაუღიმიებს, ვინც საშინლად ატე-  
ხილ ოკეანის ტალღების ქვეშ არ მოექცევა, ვინც კი-  
დევე ერთხელ თავის ფილტვებს აივსებს ჩვენი მად-  
ლიანი ჰაერით, ვინც კიდევე მოისმენს მტკვარ-რიონის  
სიმფონიას, ვინც კიდევე თავბრუდახვეული გადახე-  
დავს გააფთრებული ენგურის, კოდორის, ბზიბის,  
ალაზნის, ლიანვის და ქოროხის სრბოლას, ვინც კი-  
დევე მიესალმება ჭალარა მყინვარს, ვინც კიდევე იხი-  
ლავს ჩვენი იმედის, ქართველი ბავშვების, მხიარულ  
რაზმებს, ვინც კიდევე გაშლილი მკერდით და მთელი  
არსებით იქ შემოსძახებს ჩვენს „დიდებას“, ვინც კი-  
დევე დაინახავს ჩვენს სასახლეზე, ჩვენს თბილისში  
ჩვენივე ხელით აფრიალებულ სამფეროვან დროშას,  
დაე, იმ ბედნიერებმა დავიწყებას არ მისცენ ჩვენი  
მგოსანი, ჩვენი საყვარელი სიმონიკა, რომელმაც მთე-  
ლი თავისი სიცოცხლე სამშობლოზე ზრუნვას შეს-  
წირა და რომელსაც, მსგავსად ოდესღაც უცხოეთში  
ივერზე მომტირალი არჩილ მეფისა, ვანტანგ მეექვსი-  
სა, სულხან-საბა ორბელიანისა, ბაქარისა, ვახუშტისა,  
დ. გურამიშვილისა და სხვათა, წილად არ ხვდა თავისი  
გაცივებული სხეული მშობლიური მიწისათვის ჩაე-  
ბარებინა.

## მ. ტულუში.



## სამშობლო უცხოეთში

ყანაში კალთით შეიშრო ოფლი  
და ამოაგდო თოხით ბალახი;  
ჰაერში ოხვრა დაჰქროდა სოფლის  
დახეულ ჩოხით და ყაბალახით.

მოსჩანდა ღელე, თხმელები, ოდა,  
ნალია მზეზე დამწვარ ყანებით;  
და საცვეთებთან დასეირნობდა  
უხეში ჩექმა დედის გინებით.

მე ხშირად ვფიქრობ: გაირბენს წლები  
და მეც დავტოვებ ცივ დიასახლისს;  
უცხოეთიდან გადვიმალეები  
და დავაწვები სოფელში სახნისს.

ნეტავ ვიცოდე: გრილი ჰადარი  
თუ ამიწეწავს სიყვარულით თმებს?  
შავი მურია ნეტა სად არი?  
იქნებ აშინებს მეზობლის ქათმებს.

გაირბენს წლები ძველებურ წესით  
და დახვესებულ წისქვილის ქვებთან,  
გათეთრებული, ვერცხლის ანკესით  
ნომ ვითევენავენ სოფლის ბიჭებთან?

და უცხოეთის ქარის ნავალში  
ასე იცვლება ამ ფიქრთა ჯარი:  
მოვა წარსული მოკლე შარვალში  
და შავი ქალი გატეხილ ჯვარით.

და ქალი ამბობს: ხედავ ამ ცრემლებს?  
შენი სამშობლოს მომავალია.  
წარსული თვალზე იფარებს ხელებს,  
მეთამაშება კუკუმალიას.

როგორ დაბნელდა! ჩემი ოთახი  
აივსო ღამის მძიმე ფიქრებით.  
ბევრჯერ მყავს ღამე ჩემთან ნანახი  
და ვგრძნობ, რომ დღესაც ერთად  
ვიქნებით...

პირველი თოვლი დაეცა ქუჩებს.  
პირველი თოვლი მე მომაგონებს  
მიცვალებულის გაყინულ ტუჩებს  
და თეთრ კაბებში შორთულ გოგონებს.

როცა წარსული გარდაიცვალა,  
თეთრი კაბები შევლებე შავად  
და ავიყვანე ავი მენავე  
უცხო ქვეყნებში მამინაცვალად.

და ყოველ დილით, მძიმე საყვირი  
და ხმა მენავის მოიტანს ცნობებს,  
რომ შორს დავტოვე მწვანე ნაპირი,  
რომ სამუდამოდ ვტოვებ ნაცნობებს.

მწვანე ნაპირი იწვა კუბოში,  
და როცა ნავმა ფრთები გაშართა,  
დამარხეს ჯვარი, ფარხმალი, დროშა,  
მთელი დიდება ჩვენს წინაპართა.

წარსულს ქრილობა ბევრგან ატყვია...  
მე, მახსოვს, ზვირთებს დავადე ყური;  
მესმოდა: თბილისს ვესროლეთ ტყვია  
და დავუარეთ შემდეგ ლეკური.

ზვირთები მიჰყავთ თმაგაშლილ ქარებს;  
დიდი მინდორი ზღვას ვანაცვალე.  
გამხმარ თითებში ძვირფას სიგარებს  
აბოლებს დინჯი მამინაცვალი.

კვამლი ეხვევა ქალაქებს, ჰქრება;  
და ბნელ ქუჩებში მე ბევრჯერ ვნახე,  
ჩემს მამინაცვალს რომ ემუქრება  
წითელი დროშა, ყვითელი სახე.

ვნახე სიჩქარე და ამ სიჩქარეს  
ვერ შევუფარდე ცახცახა ფრთები;  
ვერ გავატანე აწყვეტილ ქარებს  
გადამალული ობლად ფიქრები.


მე ქართველი ვარ და ზანტი თვალი  
ვერ მოვაშორე მოწყენილ სივრცეს.  
მიყვარს უმიზნოდ გზები სავალი  
და მამინაცვალს ნეტა რათ მიმცეს?

მამშვენებს ჩონხა, ვიწრო საცვეთი,  
შექრილი წელი, ოქროს ქამარი  
და უკან დამრჩა აღმოსავლეთი,  
გამოუცნობი ჩემი სიზმარი.

მცდივარ ფრთხილად და მივადგები  
გაყინულ რკინით შეჯაჭულ კარებს:  
მაგრამ მაშინვე უკან ვბრუნდები:  
გული ცივ რკინას არ მიიკარებს.

და როცა წინსვლა შეიქნა ძნელი  
და მეგობრობა დრომ არ ინება,  
ქვაფენილებზე ველარ შევძელი  
ნაბადის გაშლა და წაქინება:

და ეხლა ათოვს გაყინულ ქუჩებს,  
და როგორც მორცხვი, ჩუმი მონები,  
როგორც პირველი კოცნა ცხელ ტუჩებს,  
ესტუმრნენ ოთახს მოგონებები.





# ე მ ლ ო

წერილს ელოდა  
ემლო ელოდან.  
ელოდა, ელოდა  
წერილს ემლო და  
თანაც მღეროდა:  
— რა ვქნა, რა გახდა ლაონიიიი,  
რატო არ მოდის ფოჭტალიონიიი...  
ერთ დილათ  
დაღლილი,  
გასვრ ლი მტვერში  
სამუშაოდან დაბრუნდა ოტელში.  
— მუსიო, ვოტრ ლეტრ!  
კი ვერ გაიგო,  
გარდა მუსიო-ს, სიტყვა ვერც ერთი.  
წერილა აიღო.  
გაწითლდა... მიხვდა: — წიგნია ელოს!  
უთხრა: მაღამ ჯან, ღმერთმა გიშველოს!  
დაუკრა თავი და  
ოთანში ავადა.  
ხელ-პირი დაიბანა.  
მოაშორა ჟანგი.  
ჩაიცვა ახალა პერანგი.

სარკეში ჩაიხედა:  
 ულვაშები დაიგრიხა,  
 ქოჩორი გადავარცხნა.  
 უცემს მაგრად გული!  
 წერილი გახსნა:  
 ... წერილი ფრანგული!?  
 — მადამ ჯან, მადამ ბენ!  
 ოჰ, მუსიო, ილ ნი ა რიენ.  
 ნე ფეტ პა-ზ-ატანსიონ,  
 სეტ იუნ პეტიტ კონტრიბუსიონ.\*)

ერთ საღამოთი,  
 (იქნებოდა საათის ათი),  
 გასვრილა მტვერში,  
 ერთავად თეთრი  
 დაბრუნდა ოტელში.  
 — მუსიო, ვოტრ ლეტრ!\*\*)  
 წერილა აიღო.  
 — წყალმაც წაიღო  
 თქვენი ფრანცია!  
 — მადამ ჯან, ტუჟურ კონტრიბუცია?!\*\*\*)  
 შევიდა ოთახში.  
 ლოგინზე გაითხლარშა.  
 ელექტრონი ანთო და  
 წერილი გახსნა ზანტად:

\*) ქალბატონო-ჯან, კარგო ქალბატონო!  
 ოჰ, ბატონო! ეს არაფერია, ნუ აქცევთ ყურადღებას,  
 ეს არის პატარა გადასახადი.

\*\*) თქვენი წერილი, ბატონო!

\*\*\*) ყოველთვის გადასახადი!

„ქმარო ჯან, მამავ საყვარელო, ემლო ძვირფასო!  
 ცრემლით დასწერა შენმა ელომ ყოველი ასო.  
 ეხ, სამართალი არ არსებობს ჩემთვის ზეცაში!  
 რად დაგვაობლე, რითეინ წახველ ზაგრანიცაში?  
 იშტა, მერჩივნა დაგეზარხე ცეცხლად მიწაში.  
 გითვლის სალამსა შენი შვალიც, პატარა ილო.  
 სულ მეკითხება: სად წავიდა ჩემი მამილო?  
 გულს ნუ გაიტეხ, ჩემო ქმარო, არ გვწყალობს ბედი,  
 მაგრამ ამ ბიჭსა გამოგიზრდა, გქონდეს იმედი.  
 სხვა რა მოგწერო მუდამ წამს და ჟამს სანატრელო.  
 გწერს შენი ელო.“

„ემლო ჯან, ემლო! რო წამოხვალ, შენ გენაცვალე,  
 ორ-ორი ხელი წამოგვიღე ნარმის საცვალე.  
 ტანთა არა გვაქვს, ტიტლიკანებს გიწყურია; გვშია,  
 მეწველი ძროხაც კი წაასხეს კოლექტივშია.  
 აწ კი მშვედობით თვალის ჩინო, ძმავ საყვარელო.  
 შენი და პელო.“

ელოდა, ელოდა  
 წერილს ემლო და  
 ნეტა არ შეელო!..





## მ გ ზ ა ვ რ ი

1.

წამიქცევს ქარო ეზოში მუხას,  
წალეკავს გიჟი მდინარე ქალებს.  
დავანთებ კოშკში ძველებურ ბუხარს  
და ცეცხლი წარსულს ააშრიალეხს.

გამოვიძარე გზა სევდიანა...

კოშკში დავეძებ დღეს თავშესაფარს.  
და დედაბერი ბრმა, კუდიანი  
ჩემ ცხოვრებიდან მიაშობს ზღაპარს.

და მე არ ვნანობ, რომ მეფის შვალმა  
შუბო გასტეხა ბრძოლაში ქართან,  
დამარცხდა ჯარი. არ არის შველა...  
და ღონე მიხდილს სძინავს ბუხართან.

იწვის ბუხარი. ყურს უგდებს ზღაპარს...  
ხალიჩით ნაფენ ძველ სავარძელში  
ზის საუკუნე, ჰგავს ჩემს წინაპარს,  
ფეხმოკეცილი ჩიბუხათ ხელში.

2.

დაიბადება მთვარე ახალი  
და ზეცა ღრუბლებს გადაიფარეხს.  
სეტყვა, გრიგალი და ქარიშხალი  
ეომებიან გალავნის კარებს.

ვიყავი მეფე და ვგავარ ზღაპარს.  
მოვკვდები, ისევ გამელვადება.  
ძველ კოშკებიდან დავანთებ ლამპარს  
და მზეთ - უნახავს ჩავესიძები.

ეჯიბს ვუბრძანებ: დამაკლდა ხედვა  
და ვიდრე ლამემ თმებში გამაბა,  
მომგვარე კვიცა მკვირცხლი, უხედნი  
და საქორწილო მომართვი კაბა.

არც სინანული, არც თავის დახრა...  
ზეცამ მარგუნა ეს ბედი წილად:  
უძლურა მეფე ქარში უმაყროდ  
მივემგზავრები დღეს საქორწილოდ.

### 3.

თაფლის სანთელი. შავი ხატები.  
„თქვენ მოგაშურებს ჭირში ყოველა.  
„მძიმედ დაჭრილი დაფეხეტები...  
„დამლოცეთ, თქვენგან შველას მოველი.“  
„ჩემი ბავშობა გახსოვს მარამ?  
„თეთრი ხელებით გთხოვდი შენდობას.  
„დღეს კი ისეთი ცუდი დარია.  
„რომ ჩაფეხუტეთ ქსელში ობობას.“  
„ნუ დამაბრუნებ გზიდან უკან მე.  
„დე, ვერ გახილო სასუფეველში,  
„ოღონდ არ ვიჯდე ვით საუკუნე  
„ფენმოკეცალი, ჩიბუნით ხელში“.

— ამინ! — იძახის ბრმა კუდანი  
და გამხმარ ხელებს ჰაერში არწევს...  
და მეც გადავკრავ მგზავრი გვიანი  
მოწამლულ ღვინით ავსებულ ყანწებს.

4.

მარტოდ ვარ, მარტოდ...დარბაზში ბნელა.  
ბუხარში ბუტავს მუგუზლას ალი...  
უცებ ვილაცამ ყრუდ ჩაახველა,  
ხმა შემომესმა დინჯი, დაბალა:

„სად მიხვალ შვილო? ქარი ჰქრის ავი.  
ლამეა ბნელი. გათენდეს დილა.  
გზებს დასწოლა ნამქერი, ზვაფი...  
მომიჯექ გვერდით. ბუხრის პირ თბილა.“

— მშვიდობით! გესმის, მეძახის ქარი  
და, შეკაზმული ჭიხვინებს ცხენი,  
ნუ მომიგონებ წყევლით, მუქართ,  
როს გაგიმწარდეს მოხუცსა დღენი.

სევდიან თარზე ვერ აატირებს  
ძველებურ ჰანგებს შენი პოეტი.  
ველარ მოიტან შან ნანადირევს:  
გაგექცა ქორი და კაპოეტი...—

5.

ჩემო მერანო გადიქეც ქარად!  
გაჰკაფე მკერდით ტყენი უვალი.  
სად მამამ ბრძოლით დღეს გაიარა,  
გაივლას მედგრად ხვალ მომავალი.

დალპეს, გაიხრწნეს ცხოვრება ძველი,  
ცრემლი აპკუროს მიწას აედარმა!  
სიტყვა ახალი, ძველის შემცვლელი  
უნდა სიკვდალში ჰპოვოს მხედარმა.

გადაიარე ველები ფრენით,  
უცნობი ზეცა, უცნობი მხარე...  
ასე მიჰქროდა განწირულ მერნით,  
ვინც ნიაფს მისცა ფიქრი მღელვარე.

და ბედის წყევლა ჩვენ გვმართებს განა,  
თუ გვჯერა ზეცა კვლავ ირაჟრაჟებს?!  
გამოუგზავნის მზე ბნელ ქვეყანას  
ახალ რაინდებს, აწყვეტილ რაშებს!


6.

მოაცურებენ ღრუბლები ნავებს...  
გადმოეშვება ზეციდან გზები...  
და გაიშლან ოქროს ნაწნავებს  
ღამეში თეთრი ანგელოსები...

და ვხედავ, ვხედავ: გამოჩნდა გზაზე  
ცხენოსანთ გუნდი. მესმის მაყრული.  
მოჰყავს მეჯვარეს ასული ნაზი,  
ჩემი ოცნება და საყვარული.

მაგრამ დიდია ცამდე მანძილი...  
მოველი სატრფოს და ვითვლი წამებს.  
ველი... სულ ველი... მერევა ძალი...  
თოვლი მიკოცნის დაღრილ წამწამებს...

რომელი ცხოვრობს ეხლა ჩვენ ორში?  
დღე მზის თვალებით ჩემში ვის ხედავს?  
ბედნიერ მეფეს? თუ სველ მინდორში  
გაყინულ ცხენზე უსულო მხედარს?



## მერცხლის წვევლა

— ნუ ანგრევ, ბიჭო, მერცხლების ბუდეს!  
მეუბნებოდა ხშირად გადაა.  
— თეთრ-გულა ჩიტი სადღა ღ აბრუნდეს,  
როცა სახლ-კარი არ აბადია... —  
მე მყავდა ჯოხის მფრინავი რაში.  
კეთილ დედაკაცს ვუსმენდი როდი.  
მოუსვენარი, ჯიუტი ბავშვი  
გულით არ ვიყავ ალბად ბოროტი.  
ისევ მოფრინდნენ ჩიტუნიები  
და გაზაფხულის გაისმა ქება...  
როგორ დავლონდი, რომ არ ინებეს  
ჩვენს აივანზე ბუდის აგება.  
მენატრებოდა მათი ჟღერტული  
და ცრემლი მადგა თვალეზე წყვილი.  
გადიამ მითხრა სიტყვები რთული:  
— მერცხლებისაგან ვართ დაწყევლილი!  
მონატრებული, მოხუცო ტკბილო!  
როცა გესტუმროს მგზავრი ზეციდან,  
განსვენების ჟამს ჩაიცვი თბილად,  
რომ სამარეში არ გამიცივდე.  
მოისხი მხრებზე შალის თავშალი.

ჩაიცვი მატყლის სქელი წინდები.  
ერთხელ საწოლიც ვერ გაგიშალე,  
ამისთვის, ქალო, ნუ დაღონდები.  
მე მჯერა, მჯერა, შენს თავსა ვფიცავ,  
მათ, ვინც დავკარგეთ, ვინც დავგეხოცა  
მხოლოდ დროებით აყრიათ მიწა  
და, დაქანცული მოხუცი როცა  
დაგიბრუნდებით, გიხილავთ ყველას,  
ყურს ნუ დაუგდებ მერცხლების წყევლას!  
თუ იმედებმა დაიგვიანეს,  
გულს ხომ აცოცხლებს მზის სიყვარული.  
უძირო ზღვებსა და ოკეანეს,  
როგორც მტკვრის ტალღებს, გავსჭრი მხარულით.  
დავუბრუნდები დაქცეულ კერას,  
როგორც ფირალი გაჭრილი მთაში.  
კვლავ გაგაგონებ ჩემ გულის ძგერას,  
თავს რომ ჩავუდებ ველებს კალთაში.  
დაინთებს ღამე ზეცაში ცეცხლებს,  
ჩაწვება მთებში დევთა ზღაპარი...  
შენ მეტყვი: შვილო! თეთრ-გულა მერცხლებს.  
ამ ქვეყნად არ გაქვსთ თავშესაფარი! —  
გადავიქცევი მერცხლად მეც მაშინ,  
გაპყვება ზღაპარს ჩემი სახელი...  
მაგრამ ნოყიერ და ძველ მიწაში  
დაითესება ცრემლები ცხელი.  
და შემდეგ ვარდებს, ამოსულს გზებზე,  
დაიქნობს გულზე ჩემი მამული  
და ამღერდება ამაყად მზეზე  
ახალგაზრდობა აბჯარასხმული.



## წ ვ ი მ ა

— ღრუბლებო, ღრუბლებო დევნილნო ქარით,  
საითკენ იჩქარით ესოდენ მუქარით?! —

— მზე-ქალის ასული ხვალ ქორწალს აპირებს.  
უნდა მივაშუროთ შავი ზღვის ნაპირებს!..

მოვიგდე ნაბადი და ღრუბლებს გავყევი:  
ზღვა... მთები... ველები... ფერღობი... ხან ხევი...

და დილით, როცა გამომეღვიძა,  
ვიცანი, ვიცანი კოპწია მიწა.

მყის წამოიშალნენ ღრუბლები ზეზე...  
ელავდა ზურმუხტი სასახლე მზეზე.

გარს ერტყა სამეფოს ციხე ვით აღმასი;  
უვლიდა გაღავანს ხევისურა სამასი.

ტრიალ მინდორზე ქართველისა ჯარი  
— ღრუბლებო, ღრუბლებო მონებო ქარისა,  
მზე-ქალის სამეფო აქ არის, აქ არის! —  
ჯაქვ-მუზარადით, კაპარკ-აბჯარით.  
გაშალეს დროშა ფერ თეთრ-შავ-ალას;

გაისმა ქება დიდ თამარ ქალას  
და ლურჯა ცხენზე, ვით ელვა ქარმა

ჯარს ჩაუჭროლა მეფე თამარმა.  
სამეფოს დროშა მოჰქონდა თავად  
დავით სოსლანსა, ოსეთის თავადს.

თეთრ არაბულზე ვიცანი მგონი  
მგოსანი შოთა ბაგრატიონა.

ვხედავდი ნათლად, მჯეროდა როდი...  
და სიხარულის ცრემლით ვსტიროდი.  
და...წვიმის წვეთი, ვით ცრემლის ხაზი  
დააჩნდა თამარს ლალის ლოყაზე...

მომინდა მათთან მეც ახლოს მისვლა.  
სასახლის ბაღზე დავეშვი ნისლად...  
ვსთქვი, თუ მოვისმენ წინაპართ ჰანგებს;  
ვიხილავ ავაზს და ფარშავანგებს...

და როცა მიწას ხელა შეეახე.  
ოჰ, არ მენახა, ნეტა, რაც ვნახე!  
ძველ სასახლიდან თურმეგრა დარჩა:  
მძიმე ლოდები და მჰკნარი ბაღჩა.


შავ ხალიჩებზე დაყრილან მთები,  
როგორც დაღლილა გოლიათები .  
მარაბდის ველზე ხმალი ვიხილე,  
დიდ მოურავის, გადატეხილი.  
დახოცილ ხევსურთ ქრალობა აზის:  
არაბთა, თურქთა და შაჰ-აბაზის...

ვიდექ მარტოკა ველზედ მწუხარე...  
იქეჭა ზეცამ... და ხმა მქუხარე  
მე შემომესმა:

„შენს მამულს, ქართველო, უფალი იცავს!  
ემთხვიე მკერდით ნოყიერ მიწას.  
დახოცილ ლომებს შეასხი ქება!

საქმენი მათი არ იკარგება.  
 ძველ ნანგრევებზე ვერ ამჩნევ ქოხებს?  
 იქ, ხმლის მაგიერ, ლესავენ თოხებს.  
 მაგრამ, მამულის საყვირზე ხვალ-ზეგ  
 თოხებს შესცვლიან წინაპართ ხმალზე.  
 დიდი წარსული, ძველი დიდება  
 განმეორდება, განმეორდება“!

და მეც იმ დღიდან ციური ხმები  
 თან დამაქვს გულში, ვით ბასრა ხმლები.  
 სძინავს ბნელ კოშკში მზე-ქალის ასულს...  
 და მე ღრუბლებში ვსტირი, თან ვმღერი:  
 წვიმს... და ეცლება გოლიათ წარსულს  
 ხავსი და მტვერი.





## უ რ მ უ ლ ი

მე დავუბრუნდი საყვარელ მხარეს,  
 საყვარელ ჭალებს,  
 საყვარელ ველებს  
 და ვიგონებდი იმათ სახელებს,  
 რომელთაც მიწა ვერ მივაყარე...  
 და სევდა  
 გულს არხევდა,  
 მიწვადა თვალებს.  
 მყინვარზე იჯდა მთვარე ახალი,  
 როგორც ერეკლეს დამასკის ხმალი.  
 ეძინა სოფლებს.  
 და ჭირისუფლებს  
 ჰქონდათ სიზმარი:  
 ზოგს დაუბრუნდა შვილი, ზოგს ქმარი.  
 ძილში ალერსი და საუბარი...  
 ესიზმრა კეკეს:  
 ...რო საქონელა მინდვრად გარეკეს.  
 იყო ზაფხულის დაჟღაჟა დილა.  
 ურმის კოფოზე მიხას თანდილა  
 არხევდა მზეზე განიერ ბეჭებს,  
 უტყლაშუნებდა სახრეს კამეჩებს...

და სევდა

გულს არხევდა.

არც ძმა ამ ქვეყნად, არც მეგობარი.

იქ, სადაც ნინომ ჯვრად შეჰკრა ვაზი.

ცრემლმორეული დავეშვი ქვაზე.

„რა ლამაზი ხარ, დედოფალო, როგორი ნაზი!  
რა რიგ ამშვენებს შენს ყაბარჩას თოვლის გვირგვინი!  
შენი მიწები მორწყულია კახური ღვინით,  
მაგრამ, ვაი, რომ მწიფე მტევნებს ასპიდი აზის.“  
„ხმალმა დავითის მოგცა სული. თამარის ხელმა  
ოქროს აკვანი დაგიწია, სათუთად გზარდა;  
უნდოდა ქალი აეზარდე დაუქცნობ ვარდად,  
მაგრამ, ვაი, რომ სათუთ მკერდზე გოკბინა გველმა.“  
„მაინც ვარდი ხარ დაუქცნობი! მინდა შეგამკო...  
მაგრამ უენო შენი შვილი რას გეტყვი, რასა?  
ოდესღაც მეფევე ბრძანებულო და დღეს კი ხასა  
რა რიგ გამშვენებს ეს გვირგვინი თეთრი, უმანკო!“  
იწოდა ოქროთ მოჭედილი მაღალი ზეცა.  
ეძინა მიწას მთვარის შუქზე. სდუმდა ყოველი,  
მხოლოდ მხურვალედ ლოცულობდა

სვეტიცხოველი

და... ჩემი ცრემლი მოსწყდა ზეცას

და შორს დაეცა...

მე დავუბრუნდი საყვარელ მხარეს  
და ჩემი ქვეყნის ნიავი თბილი  
არხევდა წყნარად ფიქრებს მწუხარეს,  
არხევდა ველებს, არხევდა ქალებს...

სადღაც ურემმა დაიჭრიალა.

გაუტყლაშუნა მეურმემ ხარებს

და შემოსძახა ურმული ტკბილი.  
 მღეროდა გლეხი მყუდრო ღამეში,  
 როგორც დაქრილი, ობოლი გედი,  
 მაგრამ ანკარა, სევდიან ხმაში  
 იყო დალხენაც, იყო იმედი.  
 მღეროდა გლეხი: მივალ აღზევანს,  
 მარილს მოვიტან, მარილსა ბროლსა  
 და ბედნიერი გადავებვევი  
 ჯერ დედას, შემდეგ შვილსა და ცოლსა.  
 ვსთქვი: თუ იმსხვერპლა ასე უდროოდ  
 მშობელმა მიწამ საუნჯე ერის,  
 რად არის ღამე ასეთი მყუდრო  
 და უდარდელად გლეხი რად მღერის?  
 უცებ დაჰქროლა ნიავმა ქშენით,  
 გაცურდა ცაზე თეთრი ღრუბელი  
 და თეთრ ღრუბელში ისხდნენ მოწყენით  
 ანგელოსები და ღვთისმშობელი...  
 ვიგრძენი შვება, განათლდა გული.  
 ვსთქვი: კვლავ იმეფებს ჩემი ქვეყანა,  
 თუ გლოვის ნაცვლად მესმის ურმული,  
 თუ გმირთა ძვლებზე ბიბინებს ყანა.  
 მადლი უფალსა! ამ კუთხის გამჩენს!  
 ზეცაში ცხოვრობს დიდი მსაჯული.  
 იმღერე გლეხო! ჩვენ გადაგვარჩენს  
 შენი „ჰარალე“ და „კრამანჭული!“

## ს ი ზ მ ა რ ი

ვლასა იმნაჲის ხსოვნას\*)

...შევალე კარი და პირჯვარი გადავისახე.  
 კუბოსთან იდგა თმაგაშლილი მწუხარე დედა.  
 მიუახლოვდი... და შავ ძაძებს ხელი შევახე:  
 დედა, ვერა მცნობ? შენი შვილი კვლავ დაგიბრუნდი!  
 ნოხუცი ქალი არ შეირხა... არ შემომხედა...  
 და... „სულთათანას“ მიგალობდა ქაშვეთის გუნდი.

## ბ უ ლ ი

განიერ მკერდში გული მიცემს, გული პატარა.  
 ჩემმა მშობელმა ჩემი გული გულთან ატარა.  
 რო დავიბადე და ვიგრძენი მშობელი დედა,  
 უმანკო გულში დედის გულმა ღრმად ჩაიხედა.  
 დღემ მოგცა ხილვა სინათლისა; წაგართვა ღამემ.  
 მზემ სიხარული გიანდერძა და სევდა მთვარემ.  
 მაგრამ იმ მიწამ, მშვენიერმა, მე რომ ამზარდა,  
 მითხარ, რა მოგცა, ჩემო გულო, ცრემლების გარდა?  
 ჩვენ გვყავდა სატრფო; ძმად-ნათიცი და მეგობარი,  
 მაგრამ მიყვარდა მხოლოდ შენთან მე საუბარი.  
 ჩემო პატარა, შენზე უკეთ არაფერ იცის

\*) თვალსაჩინო ოფიცერი ქართული ეროვნული ჯარისა და კარგი მამულიშვილი. 1921 წლიდან ცხოვრობდა უცხოეთში, გარდაიცვალა პარიზში 1936 წ.

გრაქელი ზღაპარი სევდიანი მშობლიურ მიწის.  
 და ერის სევდა, ერის ცრემლი, ვით ცხელი ტყვია  
 მე დამაქვს გულით და ჭრილობა მძიმე მატყვია;  
 და ვერვინ ვპოვე, რომ განბანოს სათუთად წყლული,  
 მაგრამ მაინც ძგერს ძველებურად პატარა გული.  
 ოპხორად მიმძიმს დაწყულულებულ გულის ტარება!  
 მაგრამ ჯვარცმაში არის ოხვრაც და ნეტარება.  
 რით გადავუხდი ჩემს მეგობარს ესოდენ ამავს,  
 როს მძიმე ჯვარი გოლგოთისა მე რწმენით დამაქვს.  
 განიერ მკერდში გული მიცემს, გული პატარა.  
 იმღერე გულო, დაკარგულო უცხო მხარეში,  
 რომ ჩავესვენოთ მზის დიდებით ბნელ სამარეში!  
 იტყვიან: მოკვდა. იქცა მიწად. მაგრამ ეს გული  
 იცხოვრებს მუდამ, ერის გულში გადანერგული.

## მ შ ვ ი დ ო ბ ი თ

ვიხილე შენი ქალარა მთები,  
 ვიხილე შენი ლურჯი ველები...  
 მშვიდობით! ველარ დაგიბრუნდები,  
 რომ დაგიკოცნო, მიწავ, ხელები.

მე მქონდა ღამე ნაქსოვი ვერცხლით  
 და დილით ოქრო გადმოღვარული...  
 მშვიდობით! გულში დღეს დამაქე!  
ცეცხლით

დამწვარი ტრფობა და სიყვარული.

მე მყავდა სატრფო და მარტო დარჩა...  
 მადლობას ვწირავ მზესა და მთვარეს,

რომ ძველებურად კობტა ყაბარჩას  
ტანზე აცმევენ ჩემს ობოლ მხარეს.

შორიდან ვუგდებ შენ სუნთქვას ყურსა!  
და ამ უბედო, განკითხვის დროში  
ბედნიერი ვარ, რომ ჩემს მიჯნურსა  
არ გასცვეთია თამარის ქოში.

განშორებისას ვიტყვი შენს სახელს,  
ქართული ყრუოლა დამივლის ტანში...  
ვიცი: ოდესმე თვალებს გავახელ  
ჩემს წინაპართა მუხის აკვანში.

## ნ ა ს ა ხ ლ ა რ ი

ისევ ის მთები! ისევ ის ზეცა!  
შენს სილამაზეს ვერ შესცვლის დრონი.  
ორ ნაწნავებად გადმოიკეცა  
ფარჩის კაბაზე მტკვარი, რიონი.  
გავყევი მძევლად დღეს კუდიან ქარს...  
როცა სოფელი იწვა ბინდებში,  
ვაკოცე ღობეს, ვაკოცე ჭიშკარს  
და დავიმაღე სქელ სიმინდებში.

გატეხილ ხულას  
დასჩხავის ყვავი,  
დამპალ სვეტებზე  
ქანაობს ოდა...  
მე რომ აღვისხედ  
გავჩენილიყავ,  
შენთან დარჩენა  
შემეძლებოდა!



## გ უ რ ი ა ს

გავაღე კარი, ნუ მიცქერი მეგობარს მტრულად,  
 თვალს ნუ მარიდებ, მშვენიერო, მომეცი ნება,  
 შენს მთებს, შენს ჭალებს მივესალმო მე ძველებურად:  
 ბახმაროს ნისლში გავახვიო ტკბილი ოცნება.  
 როგორ? არ გესმის ჩემი სიტყვა? მეძახი ფირალს?!  
 ზამთრის ბუხართან მეოცნებეს, წარსულზე მტირალს!  
 ხო, მართალი ხარ! მიყვარს ყანწი, ჩხავერის ღვინო.  
 თავზე წაკრული ყაბალახი... ხელზე — მიმინო.  
 ახალ ცხოვრებას რომ აშენებ, მეც მითხრეს, ვიცი.  
 გინდა რომ მისცე საუკუნო ხსენებას ძველი.  
 მაგრამ მერწმუნე, რომ იქნება ახლის დამცველი  
 ჩვენი მამიას „ალავერდი“ და მისი „ფიცი“.  
 ნუ მიჯავრდები! ვერ გაგიგებთ ძველები ახლებს.  
 კვლავ თუ მეღირსა შენი ხილვა, მომეცი ნება:  
 ვესროლო თვალი სევდიანი ჭვარტლიან ქარხნებს...  
 ბახმაროს ნისლში გავახვიო ძველზე ოცნება.  
 მაგრამ თუ ჩემთვის დახშულია ოდის კარები,  
 თუ კი ცოცხალი არას გარგებ, მიმიღე მკვდარი.  
 ჩემო ბატონო, ჩემს საფლავზე, გემუდარები.  
 ააშრიალე დიდი მუხა და კოინდარი.

და როცა დღის ხაშმს შესცვლის გრილი, ლურჯი სა-  
ღამო,

ამოვა მთვარე. ატირდება ჭალაში ტურა.  
მომინახულეთ. სთქვით სიმღერა ტკბილი, საამო:  
ჩვენი „ნადური“, „ოთხი ნანა“, „ხასანბეგურა“.  
თუ სიცოცხლეში არ მეღირსა უცხო მხარიდან,  
რომ მეთქვა შენთვის სიტყვა მკვირცხლი, სიტყვა მა-  
ხვილი,  
ნულა დამიშლით, გურულებო, მუნჯ სამარიდან  
მეც გაგაგონოთ ჩუმი ბანი, ან მოძახილი.

## მ ა წ ა დ ი ს ო ბ ა

გამიხსნა სევდამ გულში იარა.  
მწეს მივუშვირე დაჭრილი გული:  
ოქროს ისრებით შიგ ჩაიღვარა  
სითბო, ალერსი და სიყვარული.  
შევხედე მთვარეს ობლად მოარულს  
და მომაგონდა დაწყევლილთ ბედი...  
და მზის სხივებით გამთბარ სიყვარულს  
გადაეფარა შავი ხავერდი.  
გამაგრდი გულო! რამ დაგაღონა?  
შევსვათ პეშევებით შუქთა კრებული,  
რომ სამარეშიც განგების მონა  
არ ჩავესვენო გაფითრებული.  
ნულარ ვიდარდებთ დაღუპულ გზებზე-  
გვმართებს გადახდა სოფლის ვალისა:  
ჩვენ აქ დავექნებით. იქ—ჰყვავის მზეზე  
ვარდი წითელი წინანდალისა.

დე, სატრფომ ცრემლი ვერ დაგვაპკუ-  
როს,  
არც გვესმას ნანა ზურმუხტ მდელღოსი...  
მაგრამ ესა მზე მთბობა სამყაროს —  
ოქროს ტახტია საქართველოსი.  
მთვარე სახეა მეფე თამარის;  
გვირგვინად ადგას თავს ვარსკვლავები.  
მთვარე მოსძებნის ჩემს ბნელ სამარეს,  
გადმოეშვება ციდან მკლავები.  
და მოვესწრები ცივ სიბნელეში  
გამოდვიძებას ოქროს დილისა.  
ჩუმად! არ გესმის ქართლის ღამეში  
ლალი სიმღერა ავთანდილისა?!

## უკვდავება

როცა მოკვდები, ჩამაცვი ჩოხა,  
წამიკარ თავი თეთრ ყაბალახით;  
ჩემს სამარეზე გაშალე ნოხად  
მინდვრის ყვავილნი მწვანე ბალახით.  
ამიგეთ წესი ზურნით და ღვინათ...  
ნუ დამაპკურებთ ცხელსა ცრემლებსა,  
ნუ შეაწუხებ, ქალო, ქვითინით  
კოხტა გორაკებს, ლამაზ ვილობსა.  
შავს ნუ ჩაიცვამ, თმას ნუ გაიშლი,  
ნულარ დაიმტვრევ სიმწრით ხელებსა.  
ბნელსა ორმოში დამტოვე მარტოდ,  
ნუ მოაკითხავ ჩემს სამარესა...  
ცელქი ნიავი ობოლს გამართობს:

ზღაპრებს მიაშობს ლემს მწუხარესა.  
 მიწა ვიყავი, მიწად ვიქცევი...  
 დავუბრუნდები მშობელ მხარესა.  
 ჩემი გულისა და ტვინის მტვერა  
 განიფანტება მინდვრად, ველადა;  
 ქარი წაიღებს ჩემს ფერფლს სიმღერით,  
 გამოადგებათ ბალებს თესლადა.  
 დასწურეთ ვაზი და შესვით ტკბილი  
 და ჩემი ფერფლი ერთი ხელადა.  
 „კაცი კვდებაო“! — ნეტა ვინა სთქვა;  
 მაშ რალა არის ყვავილთ ცხოვრება?!  
 თუ არ იმათი ფშვინვა და სუნთქვა,  
 ჩვენი ცხოვრების განმეორება?!

## მ გ ო ს ა ნ ი

მე დავიბადე ცხელ ლითონის და ცეცხლის დროში;  
 ტყვიის ზუზუნმა დამავიწყა დედის ნანიანა...  
 საბნად მეხურა სისხლიანი ნაფლეთი დროშის;  
 გახრწნილ გვამებთან უდარდელ ბავშვს მშვიდად მე-  
 დინა.

მაგრამ ჩემს გულში იშლებოდა მაისის ვარდი,  
 ზეცით დარგული და მორწყული ქართული სისხლით;  
 მთვარით ნაკოცნი და ქართული მზით განაზარდი,  
 და დაბურვილი ცივ-გომბორის ჟანგიან ნისლით.  
 დავსცქერი მიწას ტყვიით დახნულს და ვამბობ ასე:  
 უნდა მივიღო დაწყევლილი ხანა ახალი!  
 უნდა გავყინო ჩემში სხივი მაღალ პარნასის,  
 გავზარდო გულში ცივი გველი და ქარიშხალი!

გახელს მთვარე ვერცხლის თვალებს და ყოველ  
 ღამით,  
 როს დასხდებიან ვარსკვლავები ცაზე იებად,  
 ვრწყავ გულში გაშლილ მაისის ვარდს შხამით, ბალ-  
 ღამით,  
 რომ ჩავუნერგო საშინელი შურისძიება;

რომ ყოველივე ჩემი სიტყვა მტერს მოხვდეს ტყვიად,  
 რითმამ დასტენოს მკვირცხლი აზრი ლექსში ყუმბა-  
 რად;

და, თუ ღიმილი ზეციური კიდევ მატყვია,  
 არ დაიჯეროთ! ვით ჯალათი ვიციანი მარად!

როს ვაქნევ სიტყვას ჰაეროვანს აწონილს მისხლით,  
 როს გარს მარტყია ეკლიანი რკინის მავთული!  
 მელნად დავსწურე ნოყიერი ქართული სისხლი,  
 კალმად მიპყრია ხელში ბასრი ხმალი ქართული!

და შხამით მორწყულ მაისის ვარდს ვდარაჯობ,  
 ვუვლა;

შურისძიება მასაზრდოებს, მიმატებს ღონეს;  
 რამდენი მამა გაიხსენებს ჩემს სახელს კრულვით,  
 რამდენი დედა ცრემლით, ოხვრით შვილს მოიგონებს!

თუ გამარჯვება არ არსებობს სისხლის გარეშე,  
 მხოლოდ სიხლისთვის გიხმობსთ ჩემი ბუკი-ნაღარა!  
 ისე არ ჩავალ, ცით მოსული, ბნელ სამარეში,  
 თუ არ შევღებე მტრების სისხლით ჩემი ჭაღარა!

ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი,  
 ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო.  
 თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,  
 დე, მტვრად ქცეულიც დამენახოს მთელი სამყარო!

## შ ე ფ ი ც უ ლ ე ბ ს

თქვენ ამბობთ: „მოკვდა!  
მივაბარეთ დღეს უცხო მიწას.  
არ გვყავს ჭაჭუცა,  
დაგვიობლდა შეფიცულთ კერა“.  
შეფიცულებო,  
ნუ ქვითინებთ. თქვენს თავსა ვფიცავ,  
ეს ტყუილია.  
არ მომკვდარა. მე ეს არ მჯერა.  
არ დაიჯეროთ,  
რომ დაჭრილი ვაქვას არწივი  
გამოესალმა  
მთის მწვერვალებს დღესსამუდამოდ,  
რომ მის მაგარ ფრთებს  
ზედ დაადეს ლოდები ცივი.  
არ დაიჯეროთ.  
ტყუილია. მტერს არ აამოთ.  
მე ამას ვამბობ.  
და ეს მჯერა. ვამბობ იცით რას?  
დაჭრილმა მკერდში,  
დაქანცულმა ბოლოს ინება  
ნაბადის გაშლა  
რბილ მწვეანეზე დიდ მუხის ძირას  
და . . . . .  
. . . . . მიძინება.  
და სძინავს, სძინავს  
მეფურ ძილით საყვარელ ბელადს...  
ჩუმად... ნუ სტირით...  
მოვასვენოთ გუშაგი ერის.

ჩვენი მამულის  
 უღრან ტყეში, მთაში და ველად  
 კვლავ გავიგონებთ  
 ამღერებას ცხელ მაუზერის.  
 თქვენ კი, ყვავებო,  
 მთის არწივი გგონიათ მკვდარა,  
 თავს ნუ დასჩხავით,—  
 გინდათ ლეში ნაკუწ-ნაკუწად?!  
 მალე ზარს დაგცემსთ  
 თეთრ ტაიქზე მჯდარი —  
 ცივ სამარიდან  
 ამოსული ჩვენი ქაქუცა.





## პაემანი მთაწმინდაზე

ილიას დაბადების 100 წლისთავზე.

ვაჟა გიყვარდა, მგოსანო,  
 ფშაველი ენაწყლიანი;  
 ენაზედ უფრო უჭრიდა  
 ქართული მკლავი ხმლიანი.  
 ხელშა ფანდური ავიღე,  
 ვაჟას ფანდური მზიანი;  
 ოდნავ ჩამოვკრავ სიმებსა,  
 არ მივაყენო ზიანი.  
 ქართული გუთნის მწიგეღნო,  
 სამნი ხართ სამოთხეშია:  
 აკაკი ალბად ოხუნჯობს,  
 ვაჟა გაჭრილა ტყეშია.  
 ვაჟას იქ არ მასწყინდების,  
 თუ ჰპოვა მთა, კლდე, ხრეშია.  
 შენ მეცოდები, ბატონო,  
 ვაი, რა ცუდსა დღეშია!  
 შენ იქ რა გაგაძლებინებს,  
 ფესვები დაგრჩა ერშია.  
 შენ, ზეციერი, ჰპოვებდი  
 შვებასა მიწიერშა.

შაიკრიბენით ერთადა,  
 ფანდურსა ვიღებ ხელშია.  
 ყური დამაგდეთ, მამებო,  
 დაგენაცვლებით ყელშია.  
 სიზმარი ვნახე, ქართველნო,  
 არვისგან ჯერ არ ნახული.  
 რაც ვნახე, რაც გავიგონე  
 მაქვს თქვენთვის შემონახული.  
 ყური ათხოვეთ ფანდურსა,  
 სულია შოგ ჩამარხული;  
 ქართველის ბედია სიმების  
 წკრიალში გამოსახული.  
 სამღერით მინდა ვუკვლო  
 მომავალს გზა დასახული.  
 მოჯარდით ახლოს, შამოკრბით,  
 გაითბეთ ამბით თქვენც გული.  
 მესიზმრა: თეთრი, პატარა  
 ღრუბელი ცაზე გაცურდა.  
 საღამო იყო მყუდრო და  
 ფოთლებს ჩურჩულიც არ სურდა.  
 ვიწექა ზურგზედ, ობლადა...  
 ღრუბელი ჩემსკენ მოცურდა.  
 გამხვია თეთრ საბანშია,  
 ისევ ზეცაზე აცურდა...  
 სუნთქვა შამეკრა, შავშინდი:  
 ვშორდები არე-მარესა!  
 მივცურავთ ზევით, სულ ზევით,  
 ვუახლოვდებით მთვარესა.  
 ვხედავთ გაფურჩქვნილ ვარსკვლავებს,  
 გვიღებენ ოქროს კარებსა;  
 გაიცინეს და სხივები

თვალთაგან გადმოღვარესა.  
„ღრუბლებო!“ ვამბობ, „ვესტუმროთ  
ჩემსა მშობელსა მხარესა.  
ზეცაში ყოფნას მარჩენის,  
რომ ვიწვე მის სამარესა!“  
შაკრთა ღრუბელი, შაჩერდა,  
შაიკრა კუმტად სახე და  
ბრაზმორეულმა დაცინვით  
თავით-ფეხამდე ამხედა.  
„ეს რა სთქვი; რა წამოროშე?“  
თანც მიპასუხა მკვახედა:  
„რა არას შენი სამშობლო?!  
გუშინ ვესტუმრე დილითა;  
ცივ გომბორზედა შამავჯექი,  
დაბურვილ იყო ნისლითა;  
ფერდობი, ვაკე ველები  
სულ მორწყულაა სისხლითა.  
შახედე მუშთარს, ოტარიდს  
და კაეშნიან ზუალსა,  
მთვარეს, ასპიროზს, მარინსა —  
ხმლით აპობს ბნელეთს უვალსა;  
მზე სამოთხეში შებრძანდა,  
გვირგვინად აღგას უფალსა.“  
— „მართალ ხარ, თეთრო ღრუბელო,  
მაგრამ მომეცი მეც ნება,  
რომ გითხრა: შედნი მნათობნი  
არს ჩვენი ქვეყნის უვენება.  
არ მოგატყუებ, მისმინე,  
გამომრეგია ქალარა,  
ზეცამ მშვა და თავზე უფრო  
სამშობლო მე შემაყვარა.“ —

გაშავდა თეთრი ღრუბელი,  
მკვირცხლავ ჩამაჯდა ქარზედა:  
მოვქრით და თავი მეგულვის  
ტარიას რაშზე ჩქარზედა.  
ხან ვარსკვლავთ ვუახლოვდებით,  
ხან დავეშვებით ბარზედა,  
ხან მთაზე წამავსკუპდებით,  
ხან გავალთ შარა-გზაზედა.  
შუალამისას ღრუბელი  
ჩამაჯდა გორის ფხაზედა:  
ტუჩით შეეხო ბალახებს,  
შასრულტა ცვარი ცვარზედა.  
(ივრით წყურვალი მაიკლა,  
ისევ შემოჯდა ქარზედა.  
„არ გამიცვიდე, ვაჟიკავ,  
საბან მაისხი ტანზედა!  
არ გესმის ტალღათ ტყლაშუნი!  
მივცურავთ შავსა ზღვაზედა?!  
საბანა შამავიხვიე,  
თავი დავიდე მკლავზედა.  
ჩემ ქვეყნის ნახვის მოსურნეს  
ცრემლი მერვეის თვალზედა.  
შავარდნის ხედვა ამეხსნა,  
სმენად გარდიქცა ყურია:  
გამოჩნდა ჩემი ქვეყანა,  
რის ნახვა ეგრე მწყურია.  
აფხაზეთ-სამეგრელოი  
და ჩვენი ჩქარი გურია;  
აქ ცხენის-წყალი მიშხუის,  
იქ — ჟუჟი, აქ — ენგურია.  
ზურმუხტათ შლილი ბაღნარი.

ქალები საამურია...  
ქალარა კავკასიონი,  
დევებთა სად სადგურია.  
გამოჩნდა შოთას აკვანიც,  
მიძინებული მესხეთი,  
ოქროს ყანებზე გაშლილა  
პურადი აქ ჯავახეთი.  
აჰა, რიონიც გრიალებს!  
ქართლის ჭირიმე, ქართლისა!  
აჰა, გამოჩნდა კახეთი!  
ფარად აკვრია ბურჯებსა  
იწყება იქ იმერეთი;  
ციხე-კოშკებით ნაჭედი  
რაჰა, ლეჩხუმი, სვანეთი.  
მტკვარსა არაგვი ჩაჰკვრია,  
იჰ, უყარათ მათ ირთმანეთი!  
ლომი თუშ-ფშავ-ხევსურეთი.  
სხვა საქართველო სად არის,  
რომელი კუთხე ეგეთი?!  
სულ ხელის გულზე გაშლილა  
ამიერ და იმერეთი.  
არწივთა ბუდეს მაგონებს  
ჩერქეზეთ, ქასტეთ, ლეკეთი.  
შორს მეზობლებიც მოსჩანან —  
— ადარბადაგან, სომხეთი!

სხვა საქართველო სად არის,  
კუთხე ნაკურთხი უფლისა?!  
მთვარე ქათიბსა უკერავს,  
მზე ოქრომკედით უვლისა.  
ნან თეთრ კაბასა ჩაიცვამს,

ხან შავსა — ჭირისუფლასა.  
 სულ მუდამ კონტა კი არის.  
 კვნესა-მე მასი სულისა!  
 „ღრუბელო, საით მიგყევარ!  
 მეყოფა ეგ სილამაზე:  
 მთებთა ამაყი ქალარა,  
 ველებთა ლურჯა სინაზე“.  
 თითქოს არც გაუგონია,  
 არ მიპასუხა ამაზე.  
 შამოვუარეთ თბილისსა,  
 დავეშვით ოქრო-ყანაზე.  
 მარტოდ დამტოვა ღრუბელმა,  
 მე არ დავლონდი ამითი.  
 ჯერ დავიბანე ხელ-პირა  
 ქართული ცვარით ნამითი.  
 შემდეგ ბილიკზე დავეშვი,  
 გამოჩნდა მამა-დავითი.  
 შუალამ გარდასულიყო,  
 ნიავი ჰქროდა გრილია.  
 იწვა მთებისა აკვანში  
 დედის ერთგული შვილია;  
 თავზე გუმბათა ეხურა,  
 ვით დედის ძუძუ ტკბილია.  
 გალავნის კარი შევალე,  
 ვიყავი სათნო, ფრთხალია.  
 აქ მეგულვების მსცოვანნა:  
 ჩვენი აკაკი, ილია.  
 ვიხილე მათი სამარეც  
 გარდმამსკდა ცრემლი წყვილია.  
 უცებ მომესმა შორიდან  
 ხმა წინწილისა, დაფ-ბუკი!

გადმოეფინა ზეციდან  
გზა განიერი მზის შუქი.  
ავარდა მზისა შუქზედა  
ოქროს მტვერი, ვით ქარ-ბუქი;  
მოაქროლებდა რაშებსა  
ოთხი რაინდი ჩაუქი.  
შავშინდი, კლდეს მავეფარე  
არ ვაუკაცო, არ ქაბუქი.  
გარდახდეს ცხენთა, მაუშვეს  
უნაგირთ მოსართავია.  
საროსა მჯობთა შვენოდათ  
წვერი, ულვაში შავია;  
ჯაქვ - მუზარადი ემოსათ  
ლომებს ბაჯალლო თავია;  
აბჯარზე მსხვილად ესხურათ  
ბროლ - მარგალიტი, ლალია.  
ტანზე ემოსათ ოთხთავეს  
კაბა, — ვეფხისა ტყავია.  
ვამბობ: სიზმარში ხომ არ ვარ?  
რა უცხო სანახავია!  
ნეტა ვინ ვპოვო ამ ქვეყნად  
ლომების შესადარია?  
შოთას მხარ-ბექსა უმშვენებს  
ფრიდონ, ავთანდილ, ტარია.  
ელავს ვეფხისა ტყავებზე  
აბჯარი საომარია.  
ჰაუ, განათდა ბნელეთი!  
ოჰ, რა მზიანი დარია!  
ვეფხურ მივიდნენ საფლავთან  
ლომურ იშიშველეს ხმალნია:  
დაიქუხა და დაელვა!..

და მოიხარეს თავნაა.  
 თურმე ილიას საფლავზე  
 დღესა აქვთ პაემანია.  
 ტარიამ ხმლით გადასწია  
 აკლდამის შიშიმე ქვანია.  
 ვამბობ: ამასთან სად მოვა  
 ამირან, ყარამანია?!  
 გარდახსნა ბნელი სამარე.  
 მამესმა შოთას ხმანია:  
 „გამოიღვიძე მოხუცო,  
 ერის გუშაგო, ილია!  
 მოვსულვართ: შოთა, ტარიელ,  
 ფრიდონი, ავთანდილია.  
 შენებრ გულუხვსა მასპინძელს  
 როდა შეგშვენის ძილია.  
 ასი წლის თავსა გილოცავთ,  
 ხელები გამოწვდილია!“

წამოდგა ცივ სამარიდან  
 მემატიანე ქართველისა,  
 მნათი უმთვარო ლამეში,  
 მომგვრელი დღის სინათლისა;  
 აზრი პიტალო, დამცველი  
 ჩაგრულთა და სიმართლისა  
 შუბლი მაღალი, გახსნილი,  
 მომნიჭებელი მადლისა.  
 ბრძანა: „ვერ ძალმამს, სულმნათო,  
 ენით თქმა სიხარულისა.  
 მოსულხარ მეფე მგოსანთა,  
 შვენება მზისა სრულისა.  
 მოგიყვანია ლომები,

დარაჯნი ქართლის სულისა.  
თამარის შვილებს გესურვათ  
ხალვა ძმის ბედით კრულვისა.  
მადლობას გიძღვნით, მაგრამ რით  
გამოვსთქვა ლხენა გულისა?!“

დადუმდა, ოთხთავ მივიდნენ  
და ეამბორენ გულზედა.  
შოთამ ჯერ გულზე აკოცა,  
შემდეგ სისხლიან შუბლზედა.  
ილიას ცრემლი მოადგა,  
ცრემლი, თვალების ლულზედა.  
სთქვეს: „მოვილხინოთ და შემდეგ  
ვიფიქროთ დაკარგულზედა.“

უცებ გაისმა ლამეში  
ჩუმი წკრიალი ქნარისა ..  
გამოჩნდა ლომი ქადარა.  
ულამაზესი მთვარისა.  
მარჯვნივ ვაჟი ეყენა,  
არწივის შესადარისა.  
მარცხნივ ნიკოლოზ ვიდოდა,  
დამამშვენები მხარისა.  
ბესიკი და ალექსანდრე,  
გრიგოლ — არიფნი თარისა.  
ვინ ჩამოვსთვალო, ვინ ერთა?  
სულ ყველანი აქ არისა!  
თითქოს გათენდა... თითქოს მზე  
ლამეში ამოსულიყო.  
აკაკი მღერის: „მოჰდივართ!  
სადა ხარ, ჩემო სულიკო?“  
მათ მუეგება ილია

სახითა მომღიმარითა.  
შოთა რა ნახეს, გაკვირდნენ,  
გაოცდნენ ერთის წამითა.  
ფერხთ მოეხვივნენ, მოსთქვამდნენ:  
„ვართ ბედნიერი ამითა!“  
ჰკოცნიდნენ ლეკვნი ლომებსა,  
დასდასთ ცრემლები ღვარითა.  
ამართეს დროშა მეფისა  
მთაწმიდის გალავანშია.  
გაშალეს სუფრა, რა სუფრა!  
ილია დასვეს თავშია.

ავთანდილ სუფრას განაგებს,  
ტარიელ მწვადის წვაშია,  
ფრიდონა მერიქიფეა,  
და შოთა ტოლუმბაშია.  
სიტყვას იძახის მარგალიტს.  
ვუსმენ, მაჟრჟოლებს ტანშია.  
განა ქართული მოლხენა  
მარტოდენ ყანწის ცლაშია?!  
არ გავცვლი შოთას მოძახილს  
თვით იადონის ხმაშია.  
ავთანდილ გამყივანია:  
ხმა შააცურა ცაშია.  
ფრიდონი აკრიმანჭულებს:  
შიიქრა მტრისა რაზმშია.  
ტარია დაბალ ბანს ამბობს:  
დინჯად დაეშვა ბარშია...  
ქვანი სმენათა გარდაქცნენ  
და მკვდართა დაჰკრეს ტაშია.  
ადიდეს ქვეყნის გამჩენი.

ადიდეს ქრისტეს რჯულია.  
ხოტბა შეასხეს წარსულსა.  
ერთიც რამ იყო თქმულაა:  
— ველარა აღსდგეს ივერი,  
თუ ერი დაქსაქსულია.  
თუ ერთ ჰანგზედ არ ამღერდა,  
მამული დაკარგულია.

ბევრი რამ იყო იქ თქმული,  
ყოველა სიტყვა განძია!  
შოთამ აავსო პირამდე  
ატენის ღვინით ყანწია:  
„შვიდასი წლისა ზეიმზე  
მოგელისთ ყველას ვარძია!“  
(ხალხნო, ხომ გესმისთ, რა ბრძანა?  
ხმა დავარხოთ ერშია —  
ვეძიოთ შოთას საფლავი  
ვარძიის მონასტერშია).  
ილიამ ჰკითხა ვაჟასა:  
„რაზედ ხარ მოწყენილია?“  
— შვლას ნუკრი ავად გამიხდა,  
ჩემო ბატონო ილია.  
აქაც ვერ ვპოვე წამალი,  
ვერც საიჭიოს ბალშია.  
გული ცრემლებით მევსების,  
ვბრუნდები სახტად სახლშია. —

ილიამ ჰკითხა ტატოსა:  
„რაზედ ხარ მოღრუბლულია?“  
— მთაწმიდის დანახვაზედა  
გამეხსნა ძველი წყლულია.  
დატანჯულ ყრმასა მიყვარდა

აქ ხშირად სიარულია.  
 აქედან ცად მიიღტვოდა  
 ჩემი ობოლი სულია.  
 ამ ქვეყნიურსა შვენებას  
 მიკვირს, რად დავდე წუნია?  
 სამოთხეშიაც ვერა ვძლებ:  
 არ მესმის მტკვრის ღუღუნია.

ილიამ უთხრა რაფიელს:  
 „მოწყენა, ე, რა წესია?“  
 — წაართვეს ჩემსა თანდილას  
 რაც უხნავს, რაც უთესია.  
 ნეტაი კი ეღირსება  
 ცხოვრება უკეთესია?! —  
 ეს სთქვა. შეხედა თვალებში,  
 ხელაც დაადო ხელზედა:  
 „მითხარ, ილიავ, რად გცხია  
 ეგ სისხლი საფეთქელზედა?“  
 — მე და ზაქროი ვიყავით  
 სანადიროთა ტყეშია.  
 უკან მომდევდა ერთგულა,  
 თოფა ეჭირა ხელშია.  
 გავარდა... და მისი ტყვია  
 ჩამაჯდა საფეთქელშია.  
 ვითომ და განგებ მოვეკალ,  
 დაირხა ხმა სოფელშია.  
 ამას მე არ დავიჯერებ,  
 რაფიელ, თავის ღღეშია.—  
 (ხალხნო, ეს რა გავიგონე!?)  
 ეგრე სთქო თავის პირითა —

ჩემს სისხლში ზაქროს ბრალს ნუ  
სდებთ,

ჩემს ბედსაც ნუ დასტირითა).

ილიამ ჰკითხა აკაკის  
მომლიმარ, მომცინარესა;  
მალლადან რო დასცქეროდა  
ცა - ფირუზ, ზურმუხტ - მხარესა:  
„რაზედ დაფიქრდი მგოსანო?  
ახალს რას მეტყვი მე, რასა?  
მითხარ, თუ ამჩნევ ცვლილებას  
ჩამქრალ ეროვნულ კერასა?“

— ბევრი ბრძოლითა დაქანცულს  
ქაჯნი ვერ უქმენ ვერასა.

„ჩვენ ჩვენი თავი გვეყუდნეს!“  
ამბობენ შენ სიმღერასა.

გულა დღეს დადუმებული,  
დააწყებს ისევ ძგერასა.  
ილიამ უთხრა მამიას:

„გრიგოლსა ჰკითხე, მამია:  
სამოთხეში თუ სკირდება  
რუსული მოსასხამია?“

გრაგოლმა გადიხარხარა:  
— ჰოჰ, შენი ენა შხამია!

რასა იქმ, ვეუო, მარგალიტს  
გადაჰკრავს ხშირად ნამია.  
ქართულ გზას გასაკათადა  
მტრის მესხა მოსასხამია“.

გაიცინეს და გალაღდნენ,  
ერთმანეთს ეამბორესა.  
ბევრი რამ ჰქონდათ სათქმელი,  
ბევრი რამ მოიგონესა.

დამატებს ტკბილი ქართულით  
და თანაც დამალონესა.

ილიამ ჰკადრა ძმად ნაფიცთ:

„შოთამ გიკურთხათ ჯანია!  
რას მეტყვი? როგორ დავიხსნათ  
ტყვედქმნილი დარეჯანია?“

ფრიდონ თქვა: „ერთი ნახტომით  
ავიღებ ნარიყალასა.“

ავთანდილ ამბობს: „დეე-გმირო,  
ხერხი სჯობია ძალასა.

ჯორს გადავკიდებ აბჯარსა,  
ჩავიცვამ ვაჭრულ კაბასა.

შევეტყუები და ქაჯებს  
დავსხებ ხმლით ვით ცხვრის ფარასა“.

ტარიელ ამბობს: „ლომნი ხართ  
და არც მე ვგეგვარ ქალასა.

ერთად გავსხლიტოთ ცხენები,  
მე ამას გირჩევთ ამასა.

თანაცა ვთვალოთ, ვინ რამდენს  
გააპობს თავის ქალასა.“

შოთას შეხედეს სამთავემ,  
განმარტოებით მდგარია.

ფრიდონ თქვა: „ვაპ მე, რა მოსდის?“  
მივლენ ავთანდილ, ტარია.

ჰკადრეს: „რადა ხარ დაღრეჯით?  
რადა გაქვს გული მკვდარია?

ვაპ, თუ არ მოგწონს, სულმნათო,  
შენ ჩვენი საუბარია!“

გაიღიმა... მათ მოჰფინა  
მზის შუქი უებარია.

ვფაქრობ: მგოსანსა რა უგავს?

ეგ ამირ-სპასალარია!  
ბრძანა: „რად მქადრებთ მაგ სიტყვას?  
წყენა რა მოსაჭორია.  
ვიცი, გწადსთ ომი ფიცხელი.  
ჰა, ბურთი, ჰა მინდორია!  
მეც თქვენებრ მაჭრის მხარ-მკლავი.  
ლეკვი ლომისა სწორია...  
მაგრამ არ მიყვარს სიფიცხით  
საქმენი ანაწონია.  
ნუ მიწყენთ, ჩემო ლომებო!  
წყენა რა დასაჯერია.  
მე თქვენი ვცანა გმირობა,  
მეც თქვენებრ ხრმალი მჭერია.  
ზოგჯერ სიფიცხით დაშავდეს,  
ზოგჯერ მიხტომაც ჯერია.  
მარტონი ვერას გავხდებით:  
ვერ იქმს ერობას ერია.  
ჯაქურ მისვლასა არ გირჩევთ.  
სჯობს რომ გავიდეს ხანია.  
ლოდინით არ დაშავდების:  
წამოგვეზრდება ყრმანია,  
თამარის აბჯრით შეგმოსოთ  
მეფე ერეკლეს სპანია.  
ციხე შიგნიდან ავილოთ.  
ვღვაროთ სისხლისა ტბანია.“  
ფრიდონ თქვა: „ვფიცავ შენს მზესა  
ჩვენი სთქვა მოსახსენები,  
მაგრამ გონიერ სიტყვებსა  
ხშირად წინ უსწრებს ენები.“  
იცინეს, გახსნეს ბაგენი.  
ბროლ-ვარდით დანაშვენები.

და როს მყანვარი ვარდისფრად  
 შეღება შუქმა დალისმა.  
 გაიყარნენ. არ დასცალდათ  
 ახალი სუფრა, დილის სმა.  
 გული დამეწვა, ავტირდი...  
 ამოიოხრა თბილისმა.  
 სიზმარი ვნახე, ქართველნო,  
 არვისგან ჯერ არ ნახული,  
 ოთხ ვეფხის კლდე მეზმანა  
 სალ კლდეზე გამოსახული.  
 ქუსლი ჰკრეს...ცაში ასტყორცნეს  
 რაშები ყარაბახული!..

გასრულდა ესე სიზმარი  
 არვისგან განაგონია...  
 თვალეზსა ვახელ და თავი  
 მაინც სიზმარში მგონია.  
 ფანდურო, ჩემო ფანდურო,  
 რაზედ ხარ დანადონია?  
 ჩვენ წინაპართა ჰანგებმა  
 შეგასხეს ფრთები, ღონია.  
 გააცან ნორჩ მომავალსა  
 სიზმრად წასულნი დრონია,  
 წარსულის მაგალითებზე  
 თვით გამონახოს ფონია.  
 ვაი ერს, — თუ სიზმარშიაც  
 არრა აქეს მოსაგონია!  
 ვაი ერს, — თუ გამარჯვება  
 სისხლათ არ აუწონია!  
 ვაჟკაცი მნახო, ვტიროდღე,  
 მაშინ ეარ მოსაწონია.

1937 წ. 26 ნოემბერი.



## მოგონებანი ვაჟაზე

ათი წლისა თუ ვიქნებოდნი... ქართული ენის მასწავლებელი და თანაც ჩვენი კლასის დამრიგებელი, ჩვენი საყვარელი ლუარსაბ ბოცვაძე შემოვიდა კლასში. დაგვაშუქრია და ეზოში გამოგვეყვანა.

— ნეტა, რა უნდა ვითამაშოთ?!

— ნერგები, ნერგები მოუტანიათ! — დაიღრიალა დიდთავა ყანჩაველმა. „ზაგლობა“-ს ვეძახდით.

ნელის ნაბიჯით მოგვიახლოვდა შავ ჩოხოსანი. სიყვარულით მოგვაველო ყველას თვალი. გაგვიღიმა

— „გამარჯვებათ, შვილებო“!

— „გაგიმარჯოთ, ბატონო“! ვუპასუხეთ ერთხმად. ჩვენი ლუარსაბი მივიდა უცნობთან. ხელი მკლავში გაუყარა და აღტაცებით მოგემართა:

— „ბავშვებო! ეს დღე თქვენთვის ბედნიერი დღეა! გესტუმრათ თქვენი საყვარელი მწერალი ვაჟა-ფშაველა!“

— „შვლის ნუკრის ნაამბობი!“

— „ია!“ „ია!“

— მთის წყარო!“

— „ხმელი წიფელი!“

— „ჩნიკვთა ქორწილი!“ ჩნიკვთა ქორწილი!“ — და გაივსო ჩვენი ეზო ჟრიაშულითა და სიცილით.



ვაჟამ გაიღიმა და მორცხვად თავი დაჰხარა.

სამ-სამად დაგვყო. პატარა ნიჩბები დაგვირევა. „ზაგლობას“ დიდი ნიჩაბი ერგო და მე შემაჩეჩა ხელში:

—შენ მაღალი ხარო.

სასწავლებელის დარაჯიც მოგვეშველა და დავიწყეთ ორმოების თხრა.

ვაჟა თავს დაგვეტრიალებდა:

—არ დაილალოთ, შვილებო, არ დაილალოთ! ფესვებს გაუფრთხილდით, ფესვებსა!“

ნერგები ჩაეყარეთ, ნორჩ ფესვებს მიწა სიყვარულით მივაყარეთ და შემდეგ... სურათი გადავიღეთ ვაჟასთან ერთად. ყველა სცდილობდა იმის გვერდით მოხვედრილიყო. დიდი მუჯღლუგუნი და წაკვრა-წამოკვრაც იყო. მე, სამწუხაროდ, ყველაზე მაღალი ვიყავი და მეორე მწკრივში მოვხვდი, სულ ბოლოში. სურათი ერთი კვირის შემდეგ გვიჩვენა მასწავლებელმა. ყველა თავის სახეს ეძებდა. ჩემი თავი რომ ვიპოვნე, დავკმაყოფილდი (ალბად სულელურადაც გამეცინა) და სურათი მასწავლებელს გადავეცი.

რომ მცოდნოდა, ვაჟა გახდებოდა ჩემი უსაყვარლესი მგოსანი, მხოლოდ იმის სახეს დავაცქერდებოდი, რათა ყოველი ნაკვთი იმის სახისა და მემანსოვრებინა.

თვალებს ვხუჭავ... ვიგონებ...

— მხოლოდ შავ ჩოხასა ვხედავ.

რომ მცოდნოდა ათი წლის ბავშვს, უცხოეთში ვაჟას სიტყვით გავითბობდი გაყინულ ცხოვრებას, აუცილებლივ მოვიპარავდი სურათს.

\*

გაიხარეს! გამაგრდნენ! ფოთლებით შეიმოსეს ნორჩი მკლავები! ვუვლიდით: წყალს ვუსხამდით, ქოჩორზე ხელს ვუსვამდით. დავაჟაკდნენ!

და...როცა სამშობლოს ვტოვებდი, ჩვენი უნივერსიტეტის ეზოში შევედი, ჩემ ჰადართან მივედი. ხუთი ჩემოდენა იყო. აშრიალდა: — სად მიდიხარ? აქ დარჩიო!

ჩემო ჰადარო, შორსა ვარ შენგან! დიდ ქალაქში ვცხოვრობ, ქვაფენილებზე დავდივარ. მიწის ქვეშ რონოდით დავსრიალობ. ქარხნების, ავტომობილების და ჰაერობლანების ხმაურით ყურები გამოჭედლი მაქვს და ხშირად ვამბობ ოხვრით: — აღარ მინდა ასეთი სიცოცხლე! შენთან ყოფნა მირჩევენია.

მაგრამ ასეთ სასოწარკვეთილების დროს ვაქვას ველს მოვოგონებ ხოლმე, დილის მზემთავისისხივები რომ დააფრქვია და დილის ნამი ააბრქყვიალა. შუადღისას მდელის რომ მოეფინა ძროხის ნახირი და ხარბად დაეცა ბალახსა და ყვავილებს. მწყემსი გრილში იჯდა და არხეინად სალამურს უკრავდა.

„თითო-ოროლა გადარჩენილი ყვავილი დიდათ ჰგოდებდა დახოცილებს და თავის სეგებებს, ითვალისწინებდა მომავალს და ევედრებოდა დედა-მიწას:

— დედილო, შენი ჭირიმე, ჩაგვაწვინე ისევ იმ აკვანში, სადაც აქამდის ვიწექით; აღარ გვინდა მზე, აღარ გვინდა ჰაერი, აღარც ცა, არც წვიმა და აღარც ასეთი სიცოცხლე, — შენს უბეში ყოფნა გვირჩევენია!

— სსსუთ, გაჩუმდით! — შემოსძახოდა ძირიდან დედა-მიწა, — ეგ აღარ გამაგონოთ! რა გატირებთ? რა გაჩივლებთ? ვიდრე თქოინი ფესვი ჩვენს გულმკერდშია ჩაქსოვილა, თქვენთან სიკვდილს ხელი არა აქვს. კიდევ აჰყვავდებით, შვილებო, კიდევ გაიზრდებით, მოითმინეთ ცოტახანს! მაშ, რად გინდათ სიცოცხლე, თუ თქვენს სიცოცხლეს ნაყოფს არ გამოაღებინებთ, არავის ასიამოვნებთ!“

უფროსი კლასის მოწაფენი წმიდა ნინოს საავად-  
მყოფოში სანატრებად ჩავეწერეთ. ის საავადმყოფო  
ჩვენი სასწავლებლის ზედა სართულში მოა-  
თავსეს.

ჩვენი ქაქუცა პირველად იქ ვნახე. რა კარგად მახ-  
სოვს! საცვლების ამარა. ფოსტლებში. საავადმყოფ-  
ოს ხალათს, როგორც ნაბადს, ისე მოიგდებდა  
ღეჭებზე...

შემოდგომის დამდეგს დიდი დარბაზი გავანთავის-  
უფლეთ, დავასუფთავეთ. ფანჯრები მე და ჯავრი-  
შვილმა გავწმინდეთ.

მეორე დღეს ვაჟა მოათავსეს ნათელ ოთახში.

მახსოვს:

მორიდებით შევალე კარები... იქვე, კარებთან იწვა,  
რკინის ლოგინზე, გამხდარი, გაყვითლებული, პატა-  
რა ტანის კაცი. საავადმყოფოს თეთრი, განიერი პე-  
რანგი ეცვა.

შემომხედა.

— ქართველი ხარ?

— დიახ, ბატონო! როგორა ბრძანდებით?

— გმადლობთ, გმადლობთ! ყველასი მადლობელი  
ვარ. ყველანი კარგები ხართ. — ჩაახველა. მძიმედ  
შეისუნთქა. განაგრძო:

— ქართველი დაჭრილები ბლომადა გყავთ?

— დიახ, ბატონო.

ჩაფიქრდა. გამხდარი, უსისხლო ხელი თავ-ქვეშ  
ამოიდვა და ჭერს მიაპყრო თვალები... ცალი თვალი,  
შგონი მარჯვენა, ჩამოხეული ჰქონდა და ცრემლი მო-  
ადგა ზედ. ტუჩები აუთამაშდა. რალაცას ამბობდა...  
იქნებ „ფშაველი ჯარისკაცის წერალი დედასთან“  
მოაგონდა:

„გულ მკერდი აგიყოვდება,  
დედაო ია-ვარდითა“ ...

ფეხ-აკრეფით გამოველ ოთახიდან.

შინ რომ დავბრუნდი, „გველის მჭამელი“ გადავშალე:

„მთვარემაც გადმოაშუქა


საჯინვეების სერიითა,

და დააშტერდა თავის მკვლელს

მოზარე ქალის ფერიითა“ ...

ფანჯარა გამოვადე. წმიდა ნინოს საავადმყოფო ელ-  
ექტრონით იყო გაჩაღებული და... ელექტრონის შუქ-  
ზე, რკინის ლოგინზე ლევდა სულს დაჭრილი მინდია.

1935 წ.





## ნ ი კ ო ლ ა

„ნასწავლი“ აფრასიონი მუშაობს ქარხანა-ში. მას კვირა დილით ესტუმრა წერა-კითხვის უცოდინარი ქართველი გლეხი პავლე, მასავით საფრანგეთში შემოხიზნული.

— ბიჭო, ესლა ხან ადექი?! — პავლე სკამზე ჩამოჯდა.

— მე, ჩემო შვილო, მზემ თვალი აახლა თუ არა, საქონელი წყალზე წავასხი. ბოსელი დავასუფთავე. საქონელი დავაბინავე. ესლა, როგორც ხედამ, აქ გაეჩნდი, ანფრასიონს!

— პავლე, ამ ფრანგებმა ხომ ვერ ისტავლეს და ვერა, ჩემი სახელი. შენ, რა დაგემართა კაცო?! ანფრასიონი კი არა, აფრასიონი მქვია, აფრასიონი! — სთქვა საყვედურით და თანაც ღამილით აფრასიონმა.

პავლემ ოფლისაგან დატკეპნილი თმები აიქოჩრა, თავი მოიფხანა და უპასუხა:

— ეეეჰ, შვალონიასა! თქვენა ხოხონიკებსა ეგეთი სახელები გქვიათ, რომა ჩვენებური კაცი ძნელად თუ დაიმახსოვრებს. ანფრასიონი, ე, რა სახელია? ვერ დაგარქვეს, ბიჭო, ქრიტიანულა სახელი?!

აფრასიონი ლოგონზე ჩამოჯდა. ხელი ჩაიქნია. უნ-  
ლოდა ეთქვა: — აი შე ტეტიაო! — მაგრამ სიჩუმე  
არჩია და, როცა პავლემ სიცილით გული მოიჯერა  
და უბის ჯიბეში ხელი ჩაიყო, შეეკითხა:

— რა საქმე გაქ ჩემთან, პავლე?

პავლემ სკამი ლოგინთან მიაჩოჩა. წყნარად, თით-  
ქმის ჩურჩულით უთხრა. ამის ხმაში შიშიც იყო და  
სიხარულიც:

— წიგნი მივიღე სახლადანა და...უნდა წამიკითხო.

აფრასიონმა შაქრის გასახვევ ქალაღლით გაკეთებ-  
ული კონვერტი ჩამოართვა. გახსნა რვეულის ფუ-  
რცლები. პავლე შიშით დააცქერდა შავ, უსწორ-მა-  
სწორო ასოებს. ნიკაპი აუცახცახდა.

— აბა, გენაცვა, წამიკითხე. — შეეხვეწა მოწყვე-  
ტალი ხმით.

„მამა-ჯან, მაპილო! გწერ ამ წერილსა შენი შვი-  
ლი ვანაი.“

— აი, შვილო, დაგენაცვლოს მამა! — ამოიოხ-  
რა პავლემ.

„გვერდით მიზის დედა ჩემი, შენი მეუღლე ტასოი  
და რასაც კი მეზნება, ყველაფერსა რიგზედა ვწერ.“

— აი, ტა, ტა, ტა, ტა! — ამოიკენესა პავლემ და  
მსხვილი ცრემლები მოადგა თვალებზე.

„ქმარო-ჯან, ქმარო, ჩემო თვალის სინათლე! მივი-  
ღეთ შენი წერილი და ბევრი ვიტარეთ. პელომ, შენ-  
მა ქალმა, დედა-შენსა და შენ ძმას გაუტანა წერილი  
საროში და ცოტა შეუძლოდ არს და ენგრე უთქომს:  
უფალო ყოვლისა შემძლეო, ისე ნუ მამკლამ რომ  
პავლე არ მანახო და პავლემო თავისი ხელებით თვა-  
ლები არ დამიხუქოსო და ერთო მუჟა მიწაც არ ჩამა-  
ტანოს საფლავშიო. რაც შენ წახვედი, ქმარო-ჯან,

დღეა შენი ლოგინად ჩავარდა და დღეს რომ პარასკევია, კვირა დალით მე და პელოი საროში ავალთ და ვინახულამთ. შენი წერილი რომ მივიღეთ, ქმარო-ჯან, ჩვენი მოკეთებები და მეზობლები სულ ერთიან ჩვენსა მოვიდნენ და სულ შენ წერილსა კითხულამდნენ და შენ მაგიგონებდნენ პავლე-ჯან და მადლობასაც გითვლიან მოგონებისათვის.“

აფრასიონმა პავლეს შეხედა:

— რა გატირებს, კაცო, არ გცხვენია!

— არაფერია, გენაცვა, არაფერი! — წალუღლულა პავლემ. ხელებით სახე დაიფარა. ცრემლებს ებრძოდა, მაგრამ ველარ დასძლია... მთელმა სხეულმა ცახცახი დაუწყო და ქვითინი აღმოხდა.

აფრასიონმა მხარზე ხელი გადაუსვა:

— არ გცხვენია, კაცო! ჯერ იმიზე ტაროდი წერილი რატო არ მომდისო, ახლა მიიღე და კადო ტირი?

პავლე წელში გასწორდა. თვალები მაგრად დაისროსა მუშტით.

— ო, კარგი... არა ვტირი!.. — გაიმხნევა თავი. — რა ექნა, მამაგონდა სახლ-კარი და...

„დღეს რო პარასკევია, ქმარო-ჯან, ოთხშაბათსა მიხაკა რყო ჩვენსა, — განაგრძო აფრასიონმა, — და სწუხს რომა ბიჭებისაგანაო უკვე ორი თვეა წიგნი არ მიგვიღიაო, ენგრე გთხოვა: — იშტა, მისწერეთო პავლესო: ბიჭებმა რად დაგვივიწყესო, რად არ იწერებიაო. ხომ არ დაიხოცნენო. ჩვენ ყველანი კარგად ვართო. ენგრე უთხარიო. ეხლა, ქმარო ჯან, ჩვენს ამბავს იკითხამ და ყველანი კარგადა ვართ. შენი ქალი პელოო კატუანთ გიგლამ დანიშნა.“

— რაო? ენგრე წერია?! — წამოიძახა პავლემ.

— ხო, დანიშნაო. მომილოცავს, პავლიავ, გაბედნიერება.

- კატუნთ გიგლამაო?
- ხო! არ მოგწონს ბიჭი, თუ?
- არა, ბიჭი კარგია. მაგრამა...

უცებ პავლე სკამზე დაეშვა, მოიკუნტა, ხელები თავში იტაცა:

— ცოდო ხარ შვებო, ცოდო! ხუთმეტე წელი ოც ქრისტეშობისთვის შეგისრულდა...

აფრასიონმა მაგრად შეანძრია პავლე.

— რა გატირებს, კაცო? თუთხმეტი წლის რომ რყო ბებია ჩემი, სამი შვილი ყავდა!

— ძველი დრო სხვა იყო, შვილო. პელო-ჯან მოგიკვდა მამაი! არა გრცხვენთან, გოგო. შენს ქორწილში მამაი გვერდით არ უნდა გაყამდეს?!

აფრასიონმა უღვაშება დაიგრიხა.

— რა ვარც გატყოფ კოჭებში, ძალვანს გწყდება გული, ქორწილს რომ უშენოდ გადაიხდიან. რას მორბოდი, ბიძია?!

პავლემ თავი ჩაიქნია. აცრემლებული თვალები მისაპყრო აფრასიონს:

— შენ ეგა სთქვი და...! არ მერჩინა იქ მამკვდარი ყავ? განაგრძე, გენაცვა.

„პელო დიდ უარზე იდგა: სანამ მამა არ ჩამოვა, არ ფავთხოვდებო, თქვენთან ვაქნებო, ხო არას გიშავებთო, ოჯახს მოვუვლიო. ვანას გაზრდაში მოგეშველები დედა-ჯანო. მეც, ქმარო ჯან, თავად უარზე ვიდექი, მაგრამ ბიჭი კარგია. ოჯახიც შაქლებული, რად უნდა დავუკარგო იღბალი დოდოსა. შე რო წახველი, მტრებიც გაგვჩინდა. ლევანას ბიჭი დიდი კაცი გახდა და ენგრე გვემუქრებოდა: იშტა, ი თქვენი პავლე კონტრევოლუცია ზაგრანცაში წავიდა, მაგრამ თქვენ ხომ ჩემს ხელში ხართო. თქვენი სინსილა კი გაწყდეს, თქვენო.“

პავლე ზეზე წამოიჭრა. აენტო:

— ენგრე უთქომს?! პატრონ ძალლი!

„ეხლა, რო გაიგო პელას დანიშნაი, ხმა გაიკმიდა. პავლე ჯან, პაულოცე შენს ქალსა პელოსა ორიოდე სიტყვითა. ამბობს,— ვიდრე მამა ყაბულს არ იქნება, ჯვარს არ დავიწერო. შენი ვანაი სკოლას ათავებს. ჩვენა მასწავლებელი ამბობს რომა, თუ ენგრე იბეჯითა, ქალაქშიც გავავზავნითო, ტენნიკუმშიო. შენ როგორა ხარ, პავლე-ჯან? შენი ნახვა მოგვანატრე, მაგრამ წიგნით გავვიხსენე მალი-მალ. ობლად დაგვყარე: მაგრამ შიში ნუ გექნება. თავს კარგად მოუარე. ჩვენზე ნუ იდარდებ. ტანით ყველანი ჯამრთელად ვართ, მხოლოდ სულ გავონებთ, ქმარო ჯან, შენს თავს ვავედრებ წმინდა გიორგის ხატსა. ნახვას ნატვრითა, თვალზე ცრემლითა, დაბალი სალამათა გწერ ამ წერილსა შენი მეუღლე ტასო.

მამა ჯან, წუხელ სიზმარი ვნახე: რომ სკოლიდან დავბრუნდა. დედა ცომსა ზელს. პელო შენთვის წინდასა ქსოვს. უცებ გაღებულ ფანჯრიდან თეთრი ტრედი შემოფრინდა და პელოს მხარზე დააჯდა. დედასა და პელოს ვუამბე სიზმარი, დედამ სიზმარა ენგრე ახსნა: თეთრი ტრედიო კატუანთ გიგლა არისო. ჩვენ ოჯახში რომ მოფრინდა, სიხარულს შემოიტანსო. პელომ ტირილი დაიწყო და სიზმარი ენგრე ახსნა: თეთრი ტრედა მამა არისო. გიგლა რო ყოფილიყო, გაფრინდებოდა და მეც თან წამიყვანდაო. ხო არ გაფრინდაო? მამილო დაგვიბრუნდებო. მამა ჯან, მალე დაბრუნდი. რად მოგვანატრე ენგრე შენი თავა. გწერ შენი შვილი ვანა.

პელო კოპერატივში წავადა.“

აფრასიონმა წერილი დაკეცა და ლოგინზე დასდვა. სიჩუმე ჩამოვარდა.

პავლეს თვალები დაეხუჭნა, მძიმედ სუნთქავდა...

— ბიჭო ჯან! — წაიხურჩულა ყრუდ: — ნუ დაიხარებ და ერთხელ კიდე წამიკითხე.

აფრასიონმა კოთხვა დაიწყო. პავლემ თვალები გაახილა. სმენად გარდაიქცა. იმის სახეზე დაკვირვება და ფიქრი აღიბეჭდა. პელოს დანიშვნას ღიმილით შეეგება. მხოლოდ ერთხელ შეაწყვეტინა აფრასიონს, ლევანას ბიჭის მუქარა რომ გაიგონა. უღვაშები სამწირით დაიგრიხა.

— ...შენა! შე ქეციაწო შენა!

— „პელო კოპერატივში წავიდა“, — დაამთავრა წერილის კოთხვა აფრასიონმა.

— ჰო დე! შაქრის სასყიდლად წავიდოდა! — შემდეგ წყენით დაუმატა: — ეხლა ვერ მოიწერეს რთვინ წავიდა?! აფრასიონ, გეთაყვა! სიკეთე მიყავ და საკეთით დააბოლოე. ქაღალდიცა გაქვს, აილე ხელში კალამი და პასუხიცა დავსწეროთ.

აფრასიონი მაგიდასთან მივიდა. ყუთი გამოსწია. ლურჯი ქაღალდი ამოაღო.

— პავლე, მე დაგიწერ პასუხს და მერე შენ შეასტორე. დაჯექი მაგერ და ნუ მიშლი ხელს.

პავლე სკამზე ჩამოჯდა... ღიდის პატარისცემითა და ყურადღებით უცქერის აფრასიონს, რომელმაც კალმის წვერი ჯერ თავზე გაიწმინდა, შემდეგ მელანში ამოაწო და შავი ასოები სწრაფად დაითესა ქაღალდზე.

— ჰა, დედასა! — წაიხურჩულა პავლემ: — ვენაცვალე სწავლულ კაცსა. გაგინმა ხელი, პავლე! არ განდოდა სწავლაი? ენგრე ეგდე მათხოვრადა!...

— ნუ მიშლი, კაცო!

პავლემ ტუჩებზე ხელი ააფარა. ზეზე წამოდგა და ფეხაკრეფით მივიდა კარებთან.

სწერს აფრასიონი...

— იპ, ნეტა რასა სწერს? — ფიქრობს კარებთან ატუზული პავლე. სუნთქვაც კი შეუკრავს, რომ აფრასიონს ხელი არ შეუშალოს. — ნეტა რასა სწერს? არ უნდა წამიკითხოს, რა დაჰწერა? არ უნდა წამიკითხოს?

აფრასიონმა საშრობი დააფრანა სველ ასოებს. ხელიც გადაუსვა. გადაფურცლა... კალმის ტარით თავი მოიფხანა და ჩაფიქრდა...

პავლემ ველარ მოათმინა:

— ეხლა არ უნდა წამიკითხო, რა დაჰწერე?!

აფრასიონმა წყრომით გადახედა:

— კაი, ბატონო, წავიკითხავ! დაჯექი ავერ.

პავლე სხარულით გაექანა სკამისაკენ.

აფრასიონმა დაამთქნარა. გაიზმორა. შუბლზე ჩამოყრილი თმები გრძელი თითებით გადაავარცხნა. თამბაქოს ბოლი წვრილად გამოუშვა და კითხვა დაიწყო:

„მარად ჟამს სანატრელო, ცხადათ და სიზმარში ტკბილად მოსაგონარო ჩემო ძვირფასო და საყვარელო ცოლო ტასო! უპირველესათ ყოვლასა მაღალ ღმერთს ვთხოვ შენს კარგათ ყოფნას შენი საყვარელი ბაღნებით და მოყვარე ნათესავებით. ახლა, იმედია, ჩემს ამბავს იკითხავ და მე ქე ვარ კარგათ“...

აფრასიონმა თავმომწონედ გადახედა პავლეს, რომელიც გაშეშებული იჯდა სკამზე სახის ისეთი გამომეტყველებით, თითქოს არაფერი ესმისო.

— რავა, არ მოგწონს, თუ? — შეეკითხა წყრომით აფრასიონი.

პავლემ საწყლად გაიღიმა. ხელები მუხლებზე დაიწყო.

— არა, მოწონებოთა როგორ არ მამწონს, მაგრამ... წაილულულა დარცხვენით და სკამზე ქანაობა დაიწყო.

— ვერ გამიგია სწორედ, რაშია საქმე! რავარც გატყობ, არ მოგბთა გულს ჩემი დაწერილი?!

პავლე ზეზე წამოდგა. ჩუმად მიუახლოვდა აფრასიონს. ოდნავ შეეხო ხელებით იმის ბეჭებს.

— ჰო დე! სწორედ ეგ არი. გულს არ მამხვდა შვილო. იცი, რითვინა? შენ ეგ წიგნი, როგორც წავლულ კაცს შეეფერება, ენგრე დაგიწერია. მე, ჩემო შვილო, ერთი უჭწავლელი კაცი ვარ და ეგრე როდი ვფიქრობ. ჩემი ოჯახიც ამ წიგნს რო წაიკითხამს, ენგრე იტყვის, რომა ე წიგნი წავლულ კაცს დაუწერიაო და ჩვენი პავლე გვერდით არ ედგა და არას ებნებოდაო. მე თუ...

— აბა, შენ თითონ დაწერე, პავლია!

— გეწყინა?! გაფხუკიანდი,,! იჰ, დაჰწერე, ბიჭო, როგორც შენა გსურს. აყვეს შენი ნება.

— არა, არა! შენ მითხარი რაც გინდა და მე დაგიწერ.

— ანგრე ამჯობინებს, შვილო. ენგრე მაუხდება აი საქმესა. იცი, რას გეტყვო, ანფრასიონ? მე მინდა, ჩემი ბიჭი ვანაი ამ წიგნს რო წაუკითხამს ჩემს ტასოსა და პელას, ენგრე თქოს, — რომ მამას წერა უჭწავლია და, რაც გულს ბოღმა და დარღო მათვა, თავისივე ხელითა ქალაღზე გადაუტანიო. მე მინდა, რომა, ამ წიგნს რომ მიიღებენ სახლში და წაიკითხამენ, ენგრე თქონ, რომ ჩვენი პავლე ჩვენთანა ზის და თავის ენოთა და ფიქრით გველაპარაკებო.

— კაი, ბატონო, მასთე იყოს! — აფრასიონმა სუფთა ქალაღი ამოიღო. — აბა დაიწყე!

— როდი უნდა გეწყინოს, შვილო... — დაუყვავა

პავლემ და ბექზე ხელი დაჰკრა. — თქვენა, წავლული ხალხი, რასაცა ფიქრობთ, იმასა როდი წერთ, შვილო. წავლული კაცის წაგნსა სულ სხვა ყაიდა, სხვა ლაზათი აქვს. ვანა მე კი არ ვიცი! მაგრამ თქვენ ნაწერსა, ბექო, ჩვენი ხალხი როდი გაიგებს. იშტა, ეხლა ავიდოთ აქაური საქონელი. ამათ რო ჩვენა ენით დაუძახო, ან რო გაუწყრე, ან მიუაღერსო როდი დაგიგდებს ყურსა. გრანცის საქონელი ჩვენ საქონელზე უფრო ნაჰწავლია, თუმცა ჩვენი საქონელი უფრო ჩახერულია. ფრანციის საქონელი ფრანციის ენით ლაპარაკობს, ჩვენებურ სახრესაც კი არ მიიკარებს. ამ ქვეყნად, შვლო, ყოველივე კუთხის სულდგმულსა თავისი ენა, ზნე, ჩვეულება და ადათი აქვს, მაშა! ჩვენც ენგრე ვართ, შვილო. ენგრე არ არი? ენგრე არ არი, ანფრასიონ?!

აფრასიონმა ხელემა გაშალა:

— ნუ მომკალ, კაცო! მითხარი, რა დაწერო?

— დამაცადე, ბექო, დამაცადე! აჩქარებითა სოფელი არავის მოუქამიაო. ენგრე უთქომ ჩვენ წინაპარსა და ჩვენც მათ კვალს უნდა მივსდიოთ. ჰო არსა გეჩქარება?

აფრასიონმა თავი გააქნია.

— ჰო, და თუ არ გეჩქარება. — ნელა-ნელა მივყვით ჩვენ საქმესა.

პავლემ შარვლის ჯიბეებში ხელემა ჩაილაგა და ოთახში სიარული დაიწყო.

აფრასიონი პავლეს ფეხსაცმელს დააცქერდა. დაღურსმული ფეხსაცმელები ხმაურობენ, მტვერსა და ლურსმნების კვალს სტოვებენ გასანთლულ იატაკზე. დადის პავლე მძიმე და გრძელი ნაბიჯებით... ფანჯარას მიაღდა... გადაიხედა. მაგრამ სწრაფად შე-

მობრუნდა და ისევ აბრახუნდა... შუა ოთახში შეჩერდა... ჩონგურს შეხედა. უცქერის დიდხანს, გაშტერებით... მაგრამ ეტყობა, ჩონგურს ვერც კი ამჩნევს. ფიქრებშია წასული... ნაღვლანი, უძრავი, გაშეშებული თვალებით დასცქერის ერთ ბუნდოვან ვიწრო წრეს, რომელშიც მოუმწყვდევია დაფანტული მწარე ფიქრები.

— აი, დედასა! — წამოიძახა უცებ. სქელ უღვაშებზე ხელი გადაიწვა. შემდეგ ხელი თვალეზზე აფარა, შემოტრიალდა და აახმაურა მძიმე ნაბიჯი დაღურსმულ ფეხსაცმელებით.

— შენი ჭირიმე, პავლე! დაჯექი ამ სკამზე, თვარა შენი მტერია, გასტკლიცავ ამ ოთახს!

პავლე შეკრთა. ფიქრისაგან დაჭიმული შუბლი მაგრად დასრისა და სკამზე დაეშვა.

„ჰო დე, იმას ვამბობდი!

— რას ამბობდი, კაცო?!

— ლევანას ბიჭზე ვამბობდი! — თვალეზი აენტო, ლოყა აუცახცახდა და დასწყვიტა:

— დახე, დახე იმ ურჯულოსა, იმასა! დიდი კაცი გამხდარა! ბიჭო და ეხლა არ იკითხამ, რად გაგვიხდა მტრად? მენშენიკობის დროსა, ფალოს დუქანი რო გაქურდეს, ემლო მოვიდა ჩვენსა და ენგრე მითხრა; წუხელ ლევანა სახლში გვიან დაბრუნდაო და ტომრებიო საბძელში შაიტანაო. დილა ადრიან მე და სტარში მილაცია ვასიკო, თქვენებური ბიჭი იყო, ტანითა სულ შენა გგვანდა, თავს დავესხით ლევანასა და ნაქურდალი დაუჭირეთ. დავატუსაღეთ ი შენი ლევანა და ახალციხეში გავგზავნეთ. ის დღეა და ისა მტრად გამიხდა. ბალშენიკები ჯერ კიდევ შემოსულნი

არ იყვნენ, რო ლევანა ჩაძაღლდა. მაგრამ დახე იმის ბუქსა! დიდი კაცი გამხდარა!

— პავლე, რა დაეწერო?

—ჰო, და ის უნდა დაჰწერო, რასაცა ვამბობ: ქალო, ვანას ბიჭის ამბავი გავიგე და ენგრე უთხარ იმ ქურდის შვილსა, რომ პავლე ჯერ ცოცხალა და გრანიცაში სიკვდილს არ აპირებს თქო. პავლემ შემოგითვალა: შენ ეი, მანდ შენთვის ეგდე, თორემ ჩამოვა და დედას აგიტირებს თქო, ცოცხლად დაგწომს თქო. პავლემ ენგრე შემოგითვალა თქო.

აფრასიონმა გაილიმა.

პავლეს ბრაზი ახრჩობდა: ცხვარის ნესტოები დაებერა. თვალები აემღვრა. რიხიანი ხმა კნავილით ამოსდიოდა დაქიმულ ყელადან.

— რა დაგემართა, კაცო? ასთე რავა უნდა გადაგრიოს მაგ ამბავმა. არა, ჩემო პავლე, მაგის დამწერი მე არ ვარ.

— რითვინა, ბიჭო?

— ამიზა, ჩემო ბიძია, რომ ამ წერილს ვინცხა გახსნას, წეიკითხავს, იმ შენ ლევანასაც წუუკითხავს...

— მერა რა, რომ წაუკითხავს! მეც მითვინა ვწერ, რომ წაიკითხოს!

— შენ რა გიჭირს, ჩემო პავლე, საფრანგეთში ხარ გამოქიმული და ერთი შენიანების ამბავიც აკითხე. რეიზა გინდა აგიდულდეს ცოდვა ოჯახში?

— მაშ, როგორა? ხმა არ უნდა ამოვლო? ბრაზით გული უნდა გავისიო?

— დაწყნარდი, პავლე. ყოლიფერის თქმაი, რასაც ფიქრობ, კი არ შეიძლება? რომ ჩახვალ შან, მაშინ უუსრულე დანაქადი იმ ბიქს. არა, ჩემო ბიძია, ამის მიწერა არ ღირს. დამიჯერე.

პავლე ზეზე წამოიჭრა. ფანჯარასთან მივიდა. ამოიოხრა.

— ჰო დე! — სთქვა ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ: — მართალი ხარ. ასჯელ გაზომე და ერთხელ გასტყე-როო. ენგრე უთქომსთ ჩვენს წინაპრებსა და იმათ რჩე-ვას უნდა მივსდიოთ.

აფრასიონთან მივიდა. თვალებში შეხედა თავისი მოწყენილი, გულუბრყვილო, უკვე დამშვიდებული თვალებით და თმებზე ხელი გადაუსვა.

— სიმართლეს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა, სიმარ-თლესა. მაშ მოდი და წიგნი ენგრე დავაწყოთ:

„ქალო ჯან“

— კი მარა, არც „ძვირფასო“, არც „საყვარელო“, ასთე წერილის დაწყება ვის გაუგონია...

— რასაც გებნები, ისე დაჰწერე. ჩემ ქალისთვისა, ოცდა ათი წელი შარშან შესრულდა, რაც ღმერთმა შეგვაუღლა, არც „ძვირფასო“ მითქომ და არც „სა-ყვარელო“, მაგრამ ღმერთი მოწამეა, გვიყვარდა კი-დეც ერთმანეთი და პატივსაცა ვცემდი...ჰო და...

— „ქალო ჯან!“ — დავწერე, ბატონო, მერე? — გააწყვეტინა აფრასიონმა.

„გუშინ დილათა ფოჭტალიონმა გადმომცა შენი წიგნი. დღეს რო კვირაა, წიგნი წამიკითხეს და ცეცხ-ლად მადო ბედ-შავ გულსა ყოველი სტყვა ჩემი ვანასგნით დაწერილი. შვილო, გიკურთხოს ზეცამ მარჯუენაი. იჰწავლე შვილო. გაახარე შენი ობოლა დედაი და ობოლი მამაი.“

— კი მარა, ახლა კიძო ტირი? რეიზა წერ პავლე სატირელს?

— ნუ მიშლი, შვილო... — მსხვილი ცრემლი გად-მოსცურდა თვალიდან; ლოყაზე ხაზი დასტოვა და,

პირთან რომ მივიდა, პავლემ ენა მიაშველა. — ნუ მიწლი...

— ...,ობოლი მამაი. შენს წიგნსა მიკათხამდენ და სულ თქვენა გხედამდით, ვითამ მეც თქვენთან ვიყო. ქალო ჯან და შვილებო ჯან, შორსა ვარ, ობლად და-კარგული, ცოცხლად დამარხული, ღვთათ განწირული, მაგრამ ფიქრითა და გულითა ერთიან თქვენთან ვცხოვრობ, თავს დაგტრიალებთ. დავწვები, თვალებს დავხუჭამ და თქვენ მესიზმრებთ, ცხადლივ გხედავთ, თქვენი ხმა მესმის. დღე გათენდება და თვალთაგან მეკარგებით. ლამეს ველოდები. შვილო პელა! შენი დანიშენის ამბავი მოვიღე და გილოცამს, გოგო, შენი უბედური მამაი ბედნიერებასა. იშტა, შენი ბედი ეგა ყოფილა. ბედსა ვერსიდ წაუვალთ, შვილო. გიგლა ყოფალა შენი ბედი და ღმერთმა გაგაბედნიეროთ, ღმერთმა ყოველივე სიკეთე გარგუნოთ ცხოვრებაში, შეებით ერთად ცხოვრების უღელში და ღმერთმა მოგცეთ ძალი და სიმხნე ერთგულად გასწიოთ მძიმე ქაპანა. ბედსა ვერსიდ წაუვალთ, შვილო. ბედმა მარგუნა უბედობაი, მარტოდ ყოფნაი, თქვენი თავის არ ნახვაი“...

— მეიცა, პავლე! ნუ ჩქარობ. კი მარა, „ყოფნაი“ და „ნახვაი“ დავწერო?..

— ბიჭო, ინგრე დაჰწერე, როგორც ვაძახი... ერთი ასო რა არი, ისიც კი არ დააკლო.

.. „თქვენი ნახვაი. — მაგრამ ბედი ბედსაც მაიტანს ხოლმე და რქნებ კიდევ გნახოთ ქალო ჯან და შვილებო ჯან, კიდე ერთხელ ვნახო ჩემგნით მიტოვებული ოჯახი. გაგლას უთხარით: პავლემ შემოგითვალა თქო შენ ეხლა იმისა შვილიცა ხარ და შენი ახალი ოჯახის ბურჯიცა თქო. ჩვენ სახლში რომ ფეხი შამო-

სდგი, ქმრობაც უნდა გაგვიწიო და მამობაცა თქო. თუ პელა გიყვარს, იმის დედასა და ძმასაც ნუ მთავლებ ზრუნველობასა თქო. თუ პავლემ სიკეთე სიკეთითვე ვერ გიზღა, ზეცა არ დაგივიწყებს თქო. ქალო ჯან, მიხაკას ენგრე უთხარ, რომა ბიჭები თვალთაგან და-მეკარგა თქო. სულ დაფანტულები მუშაობენ თქო. ტანით ჯანმრთელად არიან თქო. მაგრამ უდელ იოსე-ბასა აპენციტი მასვლია, გაუჭრიათ და ეხლა კარგად არის თქო“...

— რათ გინდა, პავლე, ამას რომ წერ. რეიზა უხეთ-ქავ გულს მამამისს? შენ აპენციტს მაინც ვერა კაცი ვერ გაიგებს.

— კარგი, ენგრე იყვეს. ნუ დაჰწერ. სხვა რა დავ-წეროთ? ჰო დე!.. აი მაუკედა პავლე დედასა! ბატონი დედა სულ არ დამავიწყდა?!

„ბატონი დედა ინახულეთ მალე მალე. აქიმიც მაუ-ყვანე ახალციხიდანა. რა მაუვიდა? თვალ როგორა აქვს? ტკივილს ბრძანებდა. ქალო, კარგად მაუარე. სოფლის ხმად არ გამიხადო ოჯახი. ენგრე არ ათქმე-ვანო მტერსა და მოყვარეს, რომ შვილი წავიდა და ცოლმა ყური არ უგდო მოხუც დედაკაცსა, უპატრო-ნოდ დაავდო. წიგნი წაუკითხეთ ბატონსა და ენგრე უთხარით: პავლემ დაბალი სალამი მოგართვა თქო. სიკვდილზე ნუ ფიქრობ დედა ჯან თქო. ცოტა ცოტა ოცო წელი კიდე უნდა იცხოვრო თქო. პავლე მალე ჩამოვა თქო. პავლეზე ნუ იდარდებ ჩემო ბატონო თქო“...

— დაჰწერე?... შენი მტერია, იმან ერთი წელიც ვერ გაჰძლოს. ცუდი სიზმარი მქონდა. — ამოიოხრა პავლემ.

„ეხლა, ქალო-ჯან, მოვახსენებ დიდ სალამსა შენ

მშობლებსა და მოკეთებებსა. ჩვენ სოფლებსა. ბედი და უბედობაი, ლხინი და ტირილი ერთად გადაგვიბდია და ღმერთი აგრე არ გამწირამს, რომ ჩემი კუბო იმათ არ მიიტანონ სამარესთან და ერთი მუქა მიწაც არ ჩამატანონ. მამიკითხე საროელი, ხაზაბავრელი ბიჭები, ვისი სახელები ჩამოვთვალო, ვინ დავასახელო, ყველანი ჩემს გულში და ფაქრში მიზიხართ. ნახვის ნატვრითა, დაბალი სალამითა, პირზე კოცნითა გწერს ამ წერილსა შენი“...

პავლე ჩაფიქრდა. სიტყვას იგონებდა: „ტანჯული“, „ობოლი“ მოადგა პირზე.

— გწერს ამ წერილსა შენი პავლე. ენგრე იყვეს. მოკლეთ მოჰქერ... აბა, ანფრასონ, გეთაყვა, ერთი რიგზე წამიკითხე, რა დავწერეთ... ბიჭო! რა მოგდის? შენ რაღა გატირებს?

— რავა, ვტირი თუ?! რაცხა ბუზი ჩამივარდა თვალში...

პავლე სოფელში სცხოვრობს და საქონელს. ისე, როგორც ოდესღაც სამშობლოში, უვლის. ეს მას მშობლიურ ქვეყანასთან აახლოვებს. ტანჯვას უადვილებს.

ჩასძინებოდა...

ბილეთების გამყიდველმა მაგრად შეანძრია. პავლე ზეზე წამოიჭრა. თვალების გახელას ლამობდა და ვერ ახერხებდა. ბარბაცით ჩამოვიდა ავტობუსიდან.

სოფლის დიდ მოედანზე გაშეშდა...თვალი მოავლო მოედანს. მაღალ ბეტონის სვეტზე ელექტრონის მუქი ლივლივებს.

ეძინა სოფელს.

მყუდრო მოედანი გადასჭრა და ბნელ, ვიწრო ქუჩაში შევიდა.

ღარაბებდაშვებულნი ყავახანიდან სინათლე გამოსჭვივის.

ჩუმი საუბარია.

ჩახლეჩილი სამღერა...

სოფლის ბოლოში ძალი აჰყევდა.

საფოსტო ყუთი ხელების ფათურით მოსძებნა. წერილი ამოიღო და ჩაფიქრდა.

— ე, ტიალი, რა რიგ ბნელა!

არასდროს პავლეს ასე არ უგრძენია სიბნელის სიანლოვე, როგორც იმ ღამეს; ვერ გაიმეტა წერილი. ვერ მიენდო სიბნელეს. პავლესათვის მუდამ დადსაიდუმლოებას წარმოადგენდა საფოსტო ყუთი. ვერ აეხსნა, თუ როგორ მოგზაურობს მთელს ქვეყანაზე პატარა წერილი. უცხოეთიდან სამი წერილი გაგზავნა სახლში. სანამ წერილს ყუთში ჩაუშვებდა, პირველს გამოისახავდა, ღმერთს შეავედრებდა, რომ გზაში არ დაკარგულიყო. ხუმრობა ხომ არ არის! ქაღალდის ნაჭერი მთელ დუნაზე მოგზაურობს! ხან მატარებლით, ხან გემით... უცხო ქვეყნებზე, უცხო ზღვებზე და... ბოლოს ვანას ჩაუვარდება ხელთ, რომ ოჯახს ამცნოს საბრალო მამის ქირ-ვარამი.

წერილი ქუდში შეინახა.

— დილით გავგზავნი. აზირ ჩემი თვალთ ვნახო, როგორ ჩაბრძანდები ყუთში!? — ეს სიტყვები ისე წარმოსთქვა, თითქოს სულიერ საგნებთან ჰქონდა

საქმე. პავლესათვის თეთრ ქალღმერთზე გამოყვანილ სიტყვას, ყოველივე წინადადებას ხორცი ესხა.

ორი ველოსიპედისტი გამოძვრა მოსახვევიდან. პავლეს რომ გაუსწორდნენ, ელექტრონის სანათი მიანათეს თვალებში. ახედ-დახედეს და ჩუმად გასრიადდნენ...

სოფლის შარაზე გავიდა. ვიწრო ბილიკზე შესდგა ფეხი და ზეცას შეხედა:

შავ, სქელ ღრუბლებში შესცურდა მთვარე.

გაიელვა.

შორით ქუხილი მოისმა.

პავლემ ნაბიჯს უმატა. პატარა გორაკი გადაიარა და თავქვე დაეშვა.

გამოჩნდა თეთრი სახლი, განმარტოებით მდგარი დაცემულს მინდორზე.

ალაყაფის კარები რომ შეაღო, ძაღლმა დაიყეფა, პაგრამ იცნო პავლე და წკმუტუნით დაიწყო; ფეხთ გაეგო; ზურგზე გადმოტრიალდა.

— ყურშა, ჩემო ყურშა! — მიუალერსა ძაღლს, ხელი გრძელ ბეწვზე გადაუსვა.

— მაიწყანე, ბიჭო, უჩემოდ?!

ძაღლმა წკმუტუნს უმატა. უკან დაედევნა ხტუნვითა და კუდის ქრევით.

— გეყოფა, ბიჭო! ეხლავ დაიმაღლე შენს ქონში, თორემ იგეთა წვიმა წამოვა, რომა...სულ ერთიან გაიწუწუები.

ძაღლი ყეფვა-წკმუტუნით შეძვრა პატარა ფიცრულში.

ბოსელში შევიდა. ელექტრონი ანათო.

— გამარჯვებათ, შვილებო!

საქონელი შეინძრა.

გავადამრგვალეებულმა ცხენებმა ყურები სცქვი-  
ტეს. აფრუტუნდენ.

ძროხა თივაზე წევს და აცოხნება. არ განძრეულა,  
მხოლოდ კული გააქნია.

მოზვერი შეკრთა. ნამძინარე, დაბერილი თვალები  
დააქყრტა. წამოიჩოქა.

— მუუუუ!...დაიზმულია მოზვერმა.

მსხვილი ჯაქვით მიბმულმა ხარებმა აღგილი გა-  
მონაცვლეს.

გამარჯვებათ! როგორა ხართ, შვილებო?!

ცხენებს გავაზე ხელი გადაუსვა:

— ჰო არ მოგშინვიათ? წყალი ხომ არ დაგკლები-  
ათ? აი, ტა ტა ტა!

ხარებს გადახედა:

— აი, თქვე მგლას არჩივნო, თქვენა! სირცხვილი  
არ იცით! ენგრე როდი უნდა გაისვაროთ, ბიჭებო?!  
არა გრცხვენვინათ?! — ფიწალა ჩამოიღო. ფეხებში  
თავა დაუგო.

სიამით შეისუნთქა თავლაში დანთხეული შარდსა  
და ნაკელის სუნი და განაგრძო:

— ისევ თქვენთანა ვარ. ჩვენი კაცი, ტყუილია,  
უთქვენოდ ვერ გაჰძლებს. თქვენ-ღა მყევხართ, კარ-  
გებო, მარტოდენ თქვენა! მხოლოდ თქვენი ენა-ღა  
შესმის ამ უცხო ქვეყანაში.

— მუუუუ!..

— ჰოდე, ჰოდე! გამომეხმაურეთ! პასუხი გამეცით!  
უთქვენოდ ჩემი აქ ყოფნა რა აქნებოდა? თქვენ მაგო-  
ნებთ ჩემს უბედურ სახლ-კარსა, ჩემ სოფელსა, ჩემ  
სიყრმესა და მოწიფულეებასა...

— მუუუ...

— ჰოდე, ჰოდე!

ბროხასთან მივიდა. რქებზე ხელი წაავლო:

— იცოხნება? შეგარგოს უფალმა! შენი ბიჭი როგორა გყამს?

მოზვერი შეკუნტრუშდა.

— ჰია! გაგეხარდა ჩემი ომსვლა? იხტუნე, იხტუნე, ბაქო!

მოზვერი ხტუნვით მიუახლოვდა პავლეს. დააცქერდა გაკვირვებულის თვალებით.

პავლე დაიხარა.

სველი დრუნჩა პავლეს სახესთან მიიტანა და ლოყაზე ხორხლიანი ენა აუსვა.

— აი, შე წირპლიანო, შენა! — მოზვერს ხელი მოხვია და თვალები ამოუწმინდა.

— ეხლა არ იკითხამთ — სად ვიყავი?! — მიმართა პავლემ პირუტყვთ.

— წიგნი რომ მივიღე, ე ხომ თქვენც იცით. წიგნს კი, ჩემო კარგებო, წაკითხვა უნდა. ენგრე არ არი? კითხვა კი როგორც თქვენ არ იცით, ასე პავლემაც არ იცის. ჰო და წიგნი ანფრასონმა წამიკითხა. ჩემი ვანა იწერება, რომ კარგად ვართ, მამა-ჯანოო. პელა გვითხოვდება, შეიღებო! კატუნთ გიგლას მაჰყვებაა!

— მუუუ!

— ჰოდე, ჰოდე, შენ კი დაგენაცვლე, შენა!

მოზვერს თავი დაუჭირა. თვალებში ჩააცქერდა.

— ენგრე იწერება ვანა რომა — შენი ნაკორა მამიკითხე მამა-ჯანოო. — იცრუა პავლემ.

მოზვერი ხელიდან გაუსხლტა, პავლეს სიტყვები თითქოს გაიგო; კუნტრუშ-კუნტრუშით წრე შემოხაზა.

— ჰია, გაგეხარდა?! შენს თავსა ვფიცავ, — ენგრე იწერება.

— მუუოო! — დაიღმუვლეს ხარებმა.

— ფრრ! — დაიფრუტუნეს ცხენებმა. უჯიშო  
ლაფშამ თავი ასწია, ნესტოები დაჰბერა, კბილები  
გადმოჰყარა: დაამთქნარა.

— ჩუმად თქვე, სალახანებო, თქვენა! პატრონი არ  
გააღვიძოთ. გაგვიჯავრდება. დააძინეთ! დააძინეთ!—  
სთქვა პავლემ. ელექტრონი ჩააქრო. თავლის კარები  
მაგრად გამოიხურა და გადარაზა.


ოთახში ფეხაკრეფით შევიდა.

ბუხარზე გოგირდის ასანთი ეგოლებოდა. გაჰკრა  
და სანათს მოუკიდა.

მკრთალად განათდა კირით შეღებილი, სინესტის  
სუნით გაჟღენთილი კედლები, ლოგინა და კედელზე  
გაკრული დაქანგული ჯვარცმა.

დიდს სიფრთხილით წაიძრო მძიმე, დალურსმული  
ფეხსაცმელები. ტანთ გაიხადა.

ლოგინში ჩაწვა...



## ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
1. გამომცემლობისაგან .....	5
2. სიმონ ბერეჟიანი — ვ. ნოზაძე .....	6
3. სიმონ ბერეჟიანი და მისი შემოქმედება — მ. ტულუში .....	9
4. სამშობლო უცხოეთში .....	26
5. ემლო .....	30
6. მგზავრი .....	33
7. მერცხლის წყევლა .....	37
8. წვიმა .....	39
9. ურმული .....	42
10. სიზმარი .....	45
11. გული .....	45
12. მშვიდობით .....	46
13. ნასახლარი .....	47
14. გურიას .....	48
15. მარადისობა .....	49
16. უკვდავება .....	50
17. მგოსანი .....	51
18. შეფიცულებს .....	53
19. პაემანი მთაწმინდაზე .....	55
20. მოგონებანი ვაჟაზე .....	71
21. ნიკოლა .....	76

NK 633